თორნიკე ჯავახიშვილი

ქალისა და მამაკაცის ქონებრივი უფლებები არარეგისტრირებული ქორწინებისას

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
ივლისი 2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, თორნიკე ჯავახიშვილი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ჯავახიშვილი თორნიკეს მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ქალისა და მამაკაცის ქონებრივი უფლებები არარეგისტრირებული ქორწინებისას და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი: _____

თარიღი

ავტორი: თორნიკე ჯავახიშვილი

დასახელება: ქალისა და მამაკაცის ქონებრივი უფლებები

არარეგისტრირებული ქორწინებისას

ფაკულტეტი: იურიდიული

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსისტს

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარცუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭვდა ან სხვა რაიმე მეთიდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობით ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწუმება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მოღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ქორწინების ინსტიტუტს იმდენად ღრმად აქვს ფესვები გადგმული დღევანდელობაში, რომ რთულად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც არ იმყოფება ქორწინებაში და რომლის პასუხიც კითხვაზე - აპირებს თუ არა, ცხოვრების რომელიმე ეტაპზე საქორწინო ურთიერთობაში შესვლას? - ერთმნიშვნელოვანი უარი იქნება. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვის ზრდამ, რაც გარკვეულწილად ქორწინების ტრადიციულ აღქმას უქმნის საფრთხეს. აღნიშნული პრობლემა გლობალურია და არ ეხება მხოლოდ საქართველოს. მიუხედავად ამისა მსგავს დე ფაქტო ქორწინებებში ხშირად დგება ქონების მართვასა თუ განკარგვასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც რიგ შემთხვევებში არ რეგულირდება კანონით. საკუთრების უფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა რომელიც ადამიანს გააჩნია და რომლის შეზღუდვას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება. აქედან გამომდინარე გასაკვირი არცაა თუ რატომ გახდა არარეგისტრირებული ქორწინებების შემთხვევაში ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრაზე და მისი რეგულაციების საშუალებებზე საკითხი მნიშვნელოვანი.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეძღვნება ქორწინების ინსტიტუტის ისტორიულ მიმოხილვას. ამ ნაწილში, დროისა და სივრცის მიხედვით, განხილულ იქნება ის მიზნები, რომელიც ქორწინებაში შესვლას ემსახურებოდა, მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები. ნაშრომის ამ ნაწილში შევძლებთ დავინახოთ ქორწინების ინსტიტუტის და მეუღლეთა მდგომარეობის განვითარების პროცესები ეტაპობრივად. ნაშრომი შემდეგ გადადის ოჯახისა და ქორწინების დღევანდელ განსაზღვრებამდე, ოჯახის პირთა წრის განსაზღვრის განსხვავებულ შეხედულებებზე. ამავე ნაწილში მოყვანილი იქნება სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ევროპული სასამართლოსეული ოჯახის ცნების ახლებური განსაზღვრება. აქვე საუბარი იქნება, საქართველოში ქორწინების საკანონმდებლო რეგულაციებზე და ხარვეზებზე. ნაშრომის ეს ნაწილი დასრულდება ქორწინებასთან გათანაბრებული ურთიერთობის განხილვით, რომელიც მართალია არ არის აღიარებული საქართველოში, თუმცა უკვე მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში ჰპოვა გამოხატულება. შემდეგი თავი მთლიანად შეეხება არარეგისტრირებულ ქორწინებებს, თავი დაიწყება რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინების გამიჯვნით, ასევე

პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება კვლევები რომელიც ნათლად გვიჩვენებს დე ფაქტო ქორწინების რიცხვის ზრდას. ასევე განხილული იქნება ჯვრისწერის ინსტიტუტი საქართველოში და მისი სამართლებრივი ბუნება, ასევე მოყვანილი იქნება სასამართლო გადაწყვეტილებები ამ საკითხთან დაკავშირებით. აქვე განხილული იქნება თანაცხოვრება როგორც არარეგისტრირებული ქორწინების შემადგენელი ნაწილი, სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი შედეგები. აღნიშნული დაგვეხმარება სამართლებრივ დონეზე შევაფასოთ არარეგისტრირებული ქორწინებისას ქონებრივი უფლებების შედარება რეგისტრირებულ ქორწინებასთან, ასევე მისი განხორციელების საშუალებები.

Abstract

Its hard to find a person who is not married and on a question – if he/she would even like to get married? – would give a negative answer. However, in a recent period amount of unregistered marriages increased significantly. Above mentioned, gets traditional understanding of marriage institution under threat. The problem is global and doesn't apply only to the situation in Georgia. In that kind of de facto families often occurs problems about property rights and management between the spuces, because it's often not regulated by the government. Due to that factors, it is not surprising why or how subject of property regulations between cohabitants became actual.

First part of the work is dedicated to the historical analizes of the marriage institution. this is where reasons and goals of entering into the marriage previously, will be described as well as relationships between spouses, their rights and responsibilities. We will be able to see tendency if how the marriage was developed through the centuries and became the institution we know today.

Next part of the work addressed family and marriage in today's society. It shows different understandings of the family and the group of people who should be refered to as a family. Also, this is where court decisions will be presented, that will help us determine new definition of the family. Family law in Georgia will be briefly discussed, mostly in regards of property rights. This part of the work will end with discussion about civil partnership, new institution that was presented in a lot of countries.

Next part of the work will entirely address unregistered marriages as a whole. It starts with differenciating registered and unregistered marriages. There will be presented statistical survey results regarding increasment of unregistrrered marriages. Will be discussed religious marriages and their legal status. This part

will end with cohabitation as a part of unregistered marriage. Court judgments regarding above mentioned topic will be discussed all along the way. Above mentioned will help us determine legal status of unregistered marriages as a whole, property rights and its implementation means.

შინაარსი

შესავალი .....

ლიტერატურის მიმოხილვა .....

შედეგები და მათი განსჯა .....

დასკვნა .....

გამოყენებული ლიტერატურა .....

შესავალი

ისტორიას მრავლად ახსოვს გარიგებით ქორწინებები, ორი ან, უფრო ხშირად მეტი პირის გადაწყვეტილებით შემდგარი ოჯახები სადაც ქონებას და სოციალურ სტატუსს იმაზე მეტი ყურადღება ექცეოდა ვიდრე ეს დღესაა. მსგავს ქორწინებებში წინასწარ იყო გათვლილი ახლად შექმნილი ოჯახის ქონების მართვის საკითხები, იქნებოდა ეს წერილობითი თუ ზეპირი ფორმით გაფორმებული. დღესდღეისობით გარიგებით ქორწინების რიცხვა იკო, ხოლო ქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში, ნაწილობრივ თავად კანონი აწესრიგებს წყვილის ქონების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს ან დასაქორწინებელი პირების სურვილის შემთხვევაში იდება საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც ქალისა და მამაკაცის ურთიერთშეთანხმებას წარმოადგეს. გარიგებით ქორწინებების რიცხვის კლებამ თავისუფლება მისცა ახალ თაობას დამოუკიდებლად გადაეწყვიტონ უნდათ თუ არა რეგისტრირებულ ქორწინებაში შესვლა. ამას ისიც დაემატა, რომ ქორწინების რეგისტრაცია სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, და მაშასადამე ხვდება ურთიერთობები რომლებიც კი ატარებენ ქორწინების დამახასიათებელ ელემენტებს, თუმცა ქორწინების კანონით აღიარებულ რეგისტრაციის ფორმას არ წარმოადგენენ. სწორედ ასეთ სამოქალაქო ქორწინებებში რთულდება ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

ქალისა და მამაკაცის ქონებრივი უფლებები, რეგისტრირებული ქორწინებისას მოწესრიგებულია კანონმდებლობით. თუმცა, არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში, ქონებრივი უფლებების საკითხი სათანადოთ არ არის შესავლილი, ამაზე მეტყველებს შესაბამისი კვლევების სიმწირე, რაც შესაძლია საკითხის დელიკატურ ბუნებას მიეწეროს.

ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს ქორწინების ინსტიტუტის განვითარების სტადიები. არარეგისტრირებულ ქორწინებასთან მიმართებაში განიხილოს როგორც როგორც ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების მნიშვნელობა და როლი, ისე ქონებრივი დავების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები, როგორც საქართველოს ისე უცხო ქვეყნის მაგალითებზე. ასევე სამართალწარმოების ძირითადი პრობლემებისა და სირთულეების ანალიზის შედეგად მიგვიყვანოს პრობლემის გადაწყვეტის რაციონალურ და ლოგიკურ საშუალებამდე.

ნაშრომში ძირითადად გამოყენებული იქნება ანალიტიკური, ლოგიკური ისტორიული, სტატისტიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განხილული იქნება როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისე ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაც საშუალებას მოგვცემს თვალსაჩინოთ დავინახოთ საკითხთან მიმართებით არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის საშუალებები.

ნაშრომი შედგება ექვსი თავისა და ქვეთავისგან. აქედან პირველი თავი შესავალია. მეორე თავი მიმოიხილავს ქორწინების ინსტორიულ ნაწილს, სადაც იქნება მოყვანილი სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მაგალითები. ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება ოჯახსა და ქორწინებას, სადაც განხილული იქნება ძველი და ახლებული მიდგომები ოჯახს მიკუთვნებულ პირთა წრის განსასაზღვრად, ასევე ქორწინების სხვადასხვა ფორმები, ქონებებრივი უფლებების რეგულირების საკითხო საქართველოში და სხვა. მეოთხე თავი ეხება არარეგისტრირებულ ქორწინებას, ასევე ეს თავი მიმოიხილავს ჯვრისწერის ინსტიტუტს საქართველოში და ზოგადად რელიგიური ქორწინების მნიშვნელობას. ნაშრომის ბოლო ორი თეევი ეხება შედეგების მიმოხილვასა და დასკვნას.

ქორწინების ისტორიული მიმოხილვა

ქორწინება უძველესი ინსტიტუტია, იმდენად ძველი, რომ შეუძლებელია დაზუსტებით ითქვას თუ როდის შედგა პირველი ქორწინება, ან რა სახის ურთიერთობას წარმოადგენდა ის და საერთოდ ასოცირდებოდა თუ არა ქორწინება ოჯახის შექმნასთან. გვაროვნული წყობილების დაშლამ საფუძველი ჩაუყარა ტერიტორიული თემების გაჩენას, რომელმაც საზოგადოება თანდათან კლასებად დაყო.[1] სწორედ ამ პერიოდიდან შეგვიძლია მივიჩნიოთ ოჯახი მტკიცე ჯგუფად, რომელიც პირდაპირ ქორწინებასთან იყო კავშირში. გაჩნდა საკუთრება და მასთან ერთად საკუთრების მემკვიდრეზე გადაცემის მოთხოვნილება.[2] საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა ქორწინების ფორმებიც და დროის ცვლილებასთან ერთად სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა ფორმა იყო მიღებული. მაგალითად პოლიგამია რომელიც ერთ და რამდენიმე სხვა ინდივიდს შორის ქორწინებას გულისხმობს. თავის მხრივ პოლიგამია იყოფა ორ ნაწილად, ესენია..

- პოლიგინია - ქორწინება რამდენიმე ქალსა და ერთ მამაკაცს შორის.
- პოლიანდრია - ქორწინება რამდენიმე მამაკაცსა და ერთ ქალს შორის.

ასევე არსებობდა ჯგუფური ქორწინება, რომელიც რამდენიმე მამაკაცსა და რამდენიმე ქალს შორის ქორწინებას გულისხმობს. დღესდღეისობით, ქორწინების ყველაზე გავრცელებული სახეა მონოგამია, ანუ ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შორის ქორწინება.[3]

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი: 1986, ტომი 10., გვ 550-551.
[2] Bogucki P., Enciclopedia of Society and Culture in the Ancient World. USA: Infobase Publishing. 2008, Vol. 1 pg. 447-460.
[3] http://socium.ge/downloads/socshesavali/ojaxi.pdf

საქართველოში ქორწინებაზე ცნობებს მრავალი წყარო იძლევა. აღსანიშნავია რომ საქართველოში ქორწილის შემდეგ ქალის უკან, თავის მშობლებთან დაბრუნება შეიძლებოდა მომხდარიყო იმ შემთხვევაში თუ ის ქალწული არ აღმოჩნდებოდა. ეს როგორც ქალისთვის ისე მისი ოჯახისთვის სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა.[4] როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოში მეათე საუკუნისთვის, შესაუღლებელ წყვილს იშვიათად თუ ეთქმოდათ სიტყვა ქორწინების საკითხში. ქორწინება ძირითადად ოჯახებს შორის მოლაპარაკებების საფუძველზე დგებოდა.[5] იქიდან გამომდინარე რომ, ქორწინების მიზანს შთამომავლობის გაგრძელება წარმოადგენდა, ქორწინების საფუძველზე, ძირითადად ქალი შედიოდა ქმრის ოჯახში. თუმცა, აღსანიშნავია რომ საქმე ყოველთვის ასე არ იყო. იმ შემთხვევაში თუ ქალის ოჯახში არ რჩებოდა გვარის გამგრძელებელი მამაკაცი, შესაძლებელი იყო ქორწინების შედეგად ქმარი შესულიყო ქალის ოჯახში, ასეთ კაცს „საძეო"-ს ეძახდნ, იმისთვის რომ ქალს გაეჩინა მამრობითი მემკვიდრე, რომელიც გვარის გამგრძელებელი გახდებოდა.[6] ქონების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში მას წვლილი ნაკლებად შექონდა. მიუხედავად ამისა, მერვე საუკუნეებში უკვე არსებობდა ქონების სხვადასხვაგვარი განსაზღვრება, როგორიცაა დედული, მამული, და მონაგები. მამული, თავისთავად მამისგან ნაგებ ქონებას წარმოადგენდა, რომლებსაც შვილები მიიღებდნენ დედულთან, ანუ დედის ქონებასთან, ერთად.[7] ქონების ასეთი განსაზღვრება ცხადყოფს რომ, მეუღლეთა ქონება განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

---

[4] ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1928. წიგნი I. გვ. 115.

[5] ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1929. წიგნი II. გვ. 232-233.

[6] ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1929. წიგნი II. გვ. 234.

[7] ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1929. წიგნი II. გვ.238-239.

ქორწინება ანტიკურ საბერძნეთში

ანტიკურ ხანაში ქორწინება უფრო სტრატეგიული გათვლა იყო ვიდრე ოჯახის შექმნის მიზნით დამყარებული კავშირი, საბერძნეთში ქორწინების ძირითად ინტერესს ქონების და ძალაუფლების გაკარვა წარმოადგენდა. ქალიშვილი იყო მამის საკუთრება, ხოლო ქორწინებისას ის გადაეცემოდა მეუღლეს.[8] იქიდან გამომდინარე, რომ თავად ქალი წარმოადგენდა სხვის საკუთრებას, იქნებოდა ეს მამა თუ მეუღლე, მისი პირადი ქონებაც ასევე ქალის მესაკუთრის ქონება იყო. ქორწინებისას მნიშვნელოვანი არ იყო დასაქორწინებელ პირთა თანხმობა, ძირითადად ოჯახები წყვილისგან დამოუკიდებლად თანხმდებოდნენ ქორწილზეც და ქორწინების პირობებზეც. დაქორწინებისას, ორივე ოჯახისთვის პრიორიტეტული იყო ის ქონება, რომელი ქონებითაც შემდგომში უნდა ეცხოვრათ მეუღლეებს.[9] თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქორწინება მხოლოდ ეკონომიკური სტაბილურობისთვის იმართებოდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქონების შთამომავლობაზე გადაცემა და იმ შემთხვევაში თუ ქალი ვერ მოემსახურებოდა აღნიშნულ მიზანს, მეუღლეს შეეძლო ის, უკან ქალის მამასთან დაებრუნებინა. ამასთან, ქორწინება ერთგვარი გარანტია იყო იმისა, რომ გაჩენილი ბავშვი ნამდვილად კაცის ბიოლოგიური შვილი იყო.[10] ქონებისა და ძალაუფლების ოჯახში შენაჩუნების მიზნით, დიონისე I-მა თავისი ქალიშვილი, ჯერ თავის ძმას, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, ცოლის ძმას მიათხოვა.[11] ანალოგიური ვითარება იყო დანარჩენ მსოფლიოში, სადაც სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვა ტრადიციები იყო ჩამოყალიბებული, მათ შორის

[8] Yalom M. A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 17-22.
[9] Yalom M. A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 17-18.
[10] Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 18.
[11] Mitchell L. G., The Woman of Ruling Families in Archaic and Classical Greece. J. Classical Quarterly, 2012, Vol. 62, Issue 1, P. 7-8.

გარდაცვლილი ძმის ცოლის, ცოლად მოყვანა, აღნიშნული, ისევ ქონების ოჯახში დარჩენას ისახავდა მიზნად.[12]

ქორწინება რომში

რომის, ჯერ კიდევ ძველი წელთ აღრიცვით 45 წელს, უკვე მოქმედებდა წესები განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა ქონების გაყოფის შესახებ.[13] რა თქმა უნდა, წესები იცვლებოდა და ვითარდებოდა, რაც აისახებოდა მეუღლეთა ქონებრივ უფლებებზე. მაგალითად ძველი წელთ აღრიცხვით მეორე საუკუნეში ქალი უკან იბრუნებდა მზითვებს ქმრის სიკვდილის ან ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რომ ქორწინების განმავლობაში ქალის ქორწინებამდე არსებული ქონება, ისევე როგორც ქორწინებისას მიღებული მზითვები ქმრის განკარგულებაში ექცეოდა. უდაოა რომ, რომაელი ქალი, ბერძენისგან განსხვავებით, ბევრად მეტი უფლებით იყო აღჭურვილი. მაგალითად, რომში სახლის დიასახლისი ფლობდა სახლის თითქმის ყველა გასაღებს, მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემთხვევებში ისევ კაცი განაგებდა ქალის ქორწინებამდე არსებულ ქონებას. მასაშადამე ქალს, იშვიათად თუ ქონდა უფლება დამოუკიდებლად ედავა ან განეკარგა კუთვნილი ქონება. თუმცა არსებობდა გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგალითად, თუ ქორწინების შემდეგ ქალი რჩებოდა მამის დაქვემდებარებაში ან, თუ ქმარი ან ომში იყო წასული ან გაძევებული

[12] Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 3-5.

[13] მეტრეველი ვ., რომის სამართალი: საფუძვლები. თბილისი: მერიდიანი, 2009, გვ. 102-103. იხ. Lefkowitz M. R., Fant M. B., Woman's Life in Greece and Rome. US: 1992, 2nd Ed.

ქვეყნიდან.[14] იმ შემთხვევაში თუ განქორწინების მიზეზი ქალის მოქმედებები გახდა, ის კარგავდა იმ ქონების ნახევარს რომელსაც იგი ქორწინებამდე ფლობდა და იმ ნივთების მესამედს რომელსაც განქორწინებისას ფლობდა. თუ გაყრა ქმრის ინიციატივით მოხდა, ქალი ინარჩუნებდა საქმროს მიერ მირთმეულ საქორწინო საჩუქრებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ქორწინება უფრი მიუახლოვდა იმ ურთიერთობას რომლითაც ჩვენ დღეს ვიცნობთ. რომაელი იურისტები ქორწინებას განმარტავდნენ როგორც თავისუფალ და თანასწორ კავშირს.[15] თავისუფლების ნაწილში შეიძლება ითქვას რომ დათქმა სიმართლესთან ახლოა, რადგან ბერძნული წესებისგან განსხვავებით, რომაელ ქალს შეეძლო მამასთან შეთანხმებით, თავად გადაეწყვიტა თუ ვისთან უნდოდა ქორწინება.[16] როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის ფუფუნება ბერძენ ქალს არასოდეს ქონია. აქვე აღსანიშნავია, რომ რომის სამართალი ცნობდა ისეთ ქორწინებასაც, რომელიც არ იყო იურიდიული ძალის მქონე, ასეთ ქორწინებას „კონკუბინატი“ ეწოდებოდა და ის არ წამოქმნიდა არანაირ სამართლებრივ შედეგებს მაშასადამე, იგი არ წარმოშობდა ქონებრივ ან მემკვიდრეობით უფლება-მოვალეობებს ცოლ-ქმარს და მათ შვილებს შორის.[17]

ქორწინება შუა საუკუნეების ევროპასა და ამერიკაში

შუა საუკუნეებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რაც ძირითადად ეკლესიის ძალაუფლების ზრდამ განაპირობა. კანონიკური, ანუ საეკლესიო

[14] მეტრეველი ვ., რომის სამართალი: საფუძვლები. თბილისი: მერიდიანი, 2009, გვ. 102. იხ. Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 29-30.
[15] მეტრეველი ვ., რომის სამართალი: საფუძვლები. თბილისი: მერიდიანი, 2009, გვ. 101.
[16] Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 36-39.
[17] მეტრეველი ვ., რომის სამართალი: საფუძვლები. თბილისი: მერიდიანი, 2009, გვ. 101.

სამართალი,[18] ერთის მხრივ მოითხოვდა, ქორწინების რიტუალის ეკლესიაში ჩატარებას, მოწმეებისა და საეკლესიო პირის თანდასწრებით, ხოლო მეორეს მხრივ შესაუღლებელი წყვილის საერთო ნებას.[19] დასაქორწინებელი წყვილის თანხმობის გაცემის საჭიროებამ ქორწინებისას, გარკვეულწილად შეასუსტა მშობლების და ოჯახის სხვა წევრების გავლენა ქორწინებაზე, რამაც წყვილს უბიძგა იმისკენ რომ თავად, ურთიერთშეთანხმებით განესაზღვრათ უფლება მოვალეობები. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში ცოლი იერარქლიულად ქმარზე დაბლა იდგა, რაც თავისთავად, ქმარს მეტ ძალაუფლებას აძლევდა. გამომდინარე იქიდან, რომ საეკლესიო სამართლის მიხედვით, ჯვირსწერა საღმრთო საიდუმლოს ხასიათს ატარებს, განქორწინება საეკლესიო წესით შეუძლებელი იყო, რაც ინგლისში XVI საუკუნემდე გაგრძლედა. აქედან გამომდინარე, ცოლს ბერკეტი არ გააჩნდა ქმართან, დადებული გარიგების შესრულება მოეთხოვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცვლილებებს დიდი დრო დაჭირდა საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად, რადგან საეკლესიო სამართლით დადგენილი მოთხოვნა ძალიან განსხვავდებოდა მოქმედი ტრადიციებისგან. ეს სიცილიის სამეფოს იმპერატორ, ფრედერიკო II-ის დროს, 1231 წელს, შეიცვალა, რომელმაც ქორწილის ეკლესიაში ჩატარება მოითხოვა.[20] მარტივი პარალელის გასავლებად, საგულისხმოა შუა საუკუნეების გერმანიაში მოქმედი კანონი, რომლითაც ქმარს უფლება ქონდა ცოლზე ფიზიკურად ეძალადა, რაც დღევანდელობაში არსებულ მეუღლეთა თანასწორობის ცნებას შეურაცხყოფს.[21]

მეუღლეთა თანასწორობა არც ამერიკის კოლონიზაციის დროს დაწყებულა. როგორც ინგლისში, ასევე ამერიკაში, ქორწინებისას ქალის

---

[18] Orsy S.J. L., Marriage in Canon Law. Texts and Comments. Reflections and Questions. Delaware: Muchael Glazier, Inc., 1988. P. 46-70.
[19] Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 40-41.
[20] Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 45.
[21] Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 41-42.

კუთვნილი ქონება მამაკაცის საკუთრებაში გადადიოდა, მაშასადამე, მხოლოდ მას შეეძლო დაედო ხელშეკრულებები, გამოსულიყო სასამართლოში და დაეწერა ანდერძი.[22] მიუხედავად მსგავსებებისა, გერმანიისგან განსხვავებით აქ არ მოქმედებდა წესები ოჯახური ძალადობის შესახებ, რაც ქალის მხრიდან განქორწინების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო. განქორწინებათა რიცხვი კი ბევრად აღემატებოდა ინგლისის მონაცემებს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, განქორწინებას ძირითადად ქალები ითხოვდნენ.[23] ქალების სოციალური სტატუსიც ბევრად უფრო ახლოს იყო თანამედროვეობასთან, რადგან ისინი ხშირად იყვნენ ჩართულები საოჯახო მეურნეობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საოჯახო ბიზნესის მართვაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მეტიც, ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე ტავერნის ქონის ლიცენზიასაც არ გასცემდა დასაოჯახებელ პირზე.[24]

---

[22] Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 130.

[23] D'Emilio J., Freedman B. E.Intimate Matters. A History of Sexuality in America. New York: Harper & Row, 2nd. Ed. 1997. P.28.

[24] Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001. P. 121.

ოჯახი და ქორწინება

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა იმ პირთა წრე, რომელიც საზოგადოების თუ სახელმწიფოს მიერ ოჯახის წევრებად მიიჩნევიან. განასხვავებენ ოჯახის ექვს ფორმას, ესენია..

1. ნუკლეანური ოჯახი - ორი მშობელი მათ შვილებთან ერთად, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მათზე.
2. მარტოხელა მშობლის ოჯახი - შედგება ერთი მშობლისგან და მისი შვილებისგან.
3. გაფართოვებული ოჯახი - ქორწინების ან ნათესაობის საფუძველზე ჩამოყალიბებული ოჯახი, რომელიც ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობს. მაშასადამე, ბებიები, ბაბუები, ბიძები, ბიცოლები, დეიდები, ბიძაშვილები, შვილიშვილები და ა.შ, შეისაძლოა გვევლინებოდნენ ასეთი ოჯახის წევრებად.
4. უშვილო ოჯახები - შედგება წყვილებისგან რომლებსაც არ ყავთ შვილები.
5. შერეული ოჯახი (Step Family) - შედგება ისეთი წევრებისგან რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ სისხლით ნათესაურ კავშირში ერთმანეთთან. მაგალითად ხელმეორედ დაქორწინებისას, ახალი ცოლ-ქმარი და მათი შვილები წინა ქორწინებიდან.
6. ბებია-ბაბუის ოჯახი (Grandparent Family) - ასეთი ოჯახები შედგება ბებია-ბაბუისგან და მათი შვილიშვილებისგან.[25]

საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, ოჯახის განმარტება არის - „ქორწინების თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმხარდაჭერით და მორალური

[25] https://family.lovetoknow.com/about-family-values/types-family-structures (24.06.2019)

პასუხისმგებლობით.“ ამ განმარტების მიხედვით, ოჯახი წარმოიქმნება ან ქორწინების ან ნათესაობის საფუძველზე, თუმცა ვერც ყველა ნათესავი მოიაზრება ოჯახის წევრად და ვერც ყველა ქორწინება, რადგან შესაძლოა სახეზე არ იყოს ყოფა-ცხოვრების ერთიანობა, რაც თავის თავში თანაცხოვრებასაც გულისხმობს. იურისტების დიდი ნაწილი, განასხვავებენ ოჯახის სამართლებრივ და სოციალურ აღქმას.[26] თუ ზემოთ მოყვანილი მაგალითი ოჯახის სოციალური აქმიდან გამომდინარეობს, სამართლისთვის მთავარია ოჯახის წევრების იურიდიული კავშირი ერთმანეთთან, რომელიც რეგულირებულია სამართლებრივი ნორმებით. მაშასადამე, სამართლებრივი აღმით ოჯახი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობის მიერ დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს. ასეთი კავშირის ყველაზე ნათელი მაგალითია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებული ქორწინება, რომლითაც მეუღლეებს წარმოეშვებათ ერთმანეთის მიმართ უფლებები და მოვალეობები. ამ მოსაზრების მიხედვით, მხოლოდ ორი პირის თანაცხოვრება, თუნდაც მათ ქონდეთ საერთო მეურნეობა, ვერ აკმაყოფილებს ოჯახის ამ განმარტებას. შესაბამისად, ქორწინებაში მყოფი მეუღლეები, რომლებსაც არ აკავშირებთ ყოფა-ცხოვრების ერთიანობა, ვერ ჩაითვლებიან ოჯახის წევრებად, სოციალური თვალთაზრისით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სახეზე ოჯახის სხვა დამახასიათებელი ნიშნები. ანალოგიურად, მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება ვერ იქნება აღქმული ოჯახად, სამართლებრივი თვალთაზრისით, თუ მათ ერთმანეთთან არ აკავშირებთ ქორწინება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება ერთად უძვებოდნენ საერთო მეურნეობას. მაშასადამე, სოციალური და სამართლებრივი აღქმა ორივე ვიწრო ჭრილში განსაზღვრას ოჯახს მიკუთვნებულ პირთა ჩამონათვალს, აზრობრივად მოცემულ ორ ფორმულაციას შორის ერთადერთ აზრობრივი განსხვავება ის არის რომ,

[26] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: მერიდიანი, 2011, გვ. 10-13.

სამართლებრივი აღქმით ოჯახს მიკუთვნებულ პირთა რიცხვი განისაზღვრება მხოლოდ იმ ადამიანებით რომელთა პირადი და ქონებრივი უფრთიერთობები რეგულირებულია ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა იმ პირთა წრის უნივერსალურ განსაზღვრებას რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ოჯახის წევრებად მიიჩნევიან. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ნორმატიულ აქტში ოჯახი სხვადასხვანაირად არის განმარტებული, ასე მაგალითად - საქართველოს კანონი, საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ ოჯახს განმარტავს როგორც „პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.“ ხოლო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 8-ე მუხლის 16-ე პუნქტის მიხედვით ოჯახს მიკუთვნებული პირები არიან, „პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, პაპა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან..“ ხოლო საქართველო სისხლის სამართლის კოდექსის 11-ე მუხლის მიხედვით, ოჯახის მიკუთვნებულ პირთა წრედ ითვლება „დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუვნელი, მხარდამჭერი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნებას.“ აღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე შესამჩნევია ოჯახის მიკთვნებულ პირთა წრის განსხვავება, კონკრეტული ნორმატიული აქტის მიზნებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია რომ, ოჯახის ყველაზე ფართო განმარტებას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა, მაშინ როდესაც სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინების ოჯახს მიკუთვნებული

პირთა წრის განსაზღვრებას. იქიდან გამომდინარე რომ, კანონის ანალოგიით, ერთი ნორმატიული აქტიდან ოჯახის განმარტებას ვერ გადმოვიტანთ სხვა ნორმატიულ აქტში, ოჯახის პირთა წრის განსასაზღვრად და იმის დასადგენათ თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახს მიკუთვნებულ პირად შეგვიძლია შედარებით-სამართლებრივ მეთოდს მივმართოდ. აქვე აღვნიშნავ რომ, გერმანიის კანონმდებლობა დამოუკიდებლად არ ცნობს თანაცხოვრებას, თუმცა ის ითვალისწინებს ფაქტობრივ ურთიერთობებში საერთო საოჯახო მეურნეობის საკითხს. ხოლო რადგანაც ქართული სამართლის სისტემა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს განეკუთვნება,[27] მნიშვნელოვნად მიმაჩნია სწორედ ევროპული სასამართლო[28] პრაქტიკის მიმოხილვა.

ევროპული პრაქტიკა ოჯახის ცნებასთან მიმართებაში

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულმა კონვენციამ,[29] 1999 წლიდან, ადგილი ჰპოვა საქართველოს სამართლებრივ რეალობაში. აღნიშნული კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დაარსდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.[30] აქედან გამომდინარე გასაკვირი არცაა, რომ კონვენციით გათვალისწინებული მუხლები მეტნაკლებად აისახება ეროვნულ კანონმდებლობაშიც. კონვენციის მერვე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.“ ხოლო აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტი უშვებს საჯარო ხელისუფლების ჩარევას აღნიშნული უფლების

[27] ხუბუა გ., სამართლის თეორია. თბილისი: „მერიდიანი“. 2004, გვ. 148
[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 1959.
[29] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. 1950.
[30] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. 1950. მუხლი 19.

განხორციელებაში იმ შემთხვევაში თუ, „ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“ ასევე ყურადღებას გავამახვილებ კონვენციის 12-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც „საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინების უფლება და ოჯახის შექმნის უფლება, ეოვნული კანონის შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებს ამ უფლების განხორციელებას.“ ხოლო 14-ე მუხლი ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას, რომელიც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 11-ე მუხლის იდენტურია. აღსანიშნავია, რომ კონვენცია ერთი შეხედვით ღიად ტოვებს არარეგისტრირებული ქორწინებების საკითხს, თუმცა ამ მხირვ მნიშვნელოვანია, რომ მერვე მუხლი იწყება სიტყვით „ყველა“. ეს სიტყვა გამორიცხავს ამ უფლებით მოსარგებლე ადამიანების ნებისმიერი სახით დისკრიმინაციას. მაშასადამე, ყველას აქვს უფლება ისარგებლოს კონვენციით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, მითითებულ მუხლში არ არის ოჯახის ცნების განმარტება და ის თუ ვინ შეიძლება იქნეს მოაზრებული ამ უფლებით მოსარგებლე პირად. ამ მიზნით, შეგვიძლია გადავხედოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად განვსაზღვროთ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრად.

პირველ რიგში, მნიშვნელოვნად მიმაჩნია გამოვყო ეგრეთ წოდებული, „ბელგიური ლინგვისტიკის“ საქმე,[31] რომელშიც სასამართლომ აღნიშნა რომ, მერვე მუხლის დანიშნულებაა დაიცვას ინდივიდები ხელისუფლების

[31] European Court of Human Rights. Case “Relating to Certain Aspects of the Laws on The Use of Languages in Education in Belgium” v. Belgium (Merits). 1968. (App. N 1474/62; 1677/62; 1691/62; 1769/63; 1994/63; 2126/64).

ორგანოების ჩარევისგან მათ პირად და ოჯახურ ურთიერთობებში. აქვე, სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მუხლები არ უნდა იქნას ინდივიდუალურად აღქმული ისე, რომ მათ ერთმანეთი შეზღუდონ, არამედ მთელი კონვენცია განხილული უნდა იყოს როგორც ერთი ორგანიზმი.[32] ამ მხრივ მნიშვნელოვანია მარქსი ბელგიის წინააღმდეგ,[33] სადაც სასამართლომ იმსჯელა კონვენციის მერვე მუხლზე და განმარტა რომ, ის არ ანსხვავებს კანონიერ და უკანონო ოჯახს, მითუმეტეს თუ სახეზეა ის ურთიერთობები, რომლებიც ახასიათებ კანონიერ ოჯახს. მერვე მუხლის განმარტება ანალოგიური იყო კრონი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ,[34] სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „ოჯახური ცხოვრება," აღნიშნულ მუხლთან მიმართებაში, არ იზღუდება მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახით, არადამედ გულისხმობს დე ფაქტო ურთიერთობებსაც რომელიც არარეგისტრირებული ქორწინებისას წარმოიქნება. წარმოდგენილი სასასამართლო გადაწყვეტილებები, და სხვა მრავალი რომელზეც მოგვიანებით გევქნება საუბარი, განხილული იყო, როგორც კონვენციის მერვე, ისე მეთოთხმეტე მუხლებთან მიმართებაში. სახელმწიფოს მიერ განსხვავებული დამოკიდებულება რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებების შედეგად შექმნილ ოჯახებთან მიმართებით, რიგ შემთხვევებში, განხილებოდა როგორც დისკრიმინაცია. მოცემული გადაწყვეტილებებიდან ჩანს რომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ იზღუდავს თავს ოჯახის მხოლოდ სამართლებრივი ან სოციალური აღმით, ის ცდება ფორმალურ ჩარჩოებს და განიხილავს ურთიერთობებს მისი ფაქტობრივი მახასიათებლებით.[35]

---

[32] European Court of Human Rights. Case "Relating to Certain Aspects of the Laws on The Use of Languages in Education in Belgium" v. Belgium (Merits). 1968. (App. N 1474/62; 1677/62; 1691/62; 1769/63; 1994/63; 2126/64). P. 104

[33] Marckx v. Belgium. (13.06.1979). N 6833/74

[34] Kroon and Others v. Netherlands. (27.10.1994) N 18535/91.

[35] Caballero S. S., Unmarried Cohabiting Couples Before the European Court of Human Rights: Parity With Marriage? The Colimbia Journal of European Law. 2004/2005, Vol. 11, N. 1. P. 151-152

ოჯახს მიკუთვნებულ პირთა წრე

საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა იმ პირთა წრის ზუსტ, ერთმნიშვნელოვან, განსაზღვრებას რომლებიც, ოჯახის წევრებად შეიძლება მივიჩნიოთ. სამართლებრივი აღქმით ოჯახი განისაზღვრება იმ პირთა წრით რომელიც პირდაპირაა მითითებული კანონში. რადგანაც სხვადასხვა ნორმატიული აქტი სხვადასხვანაირად განმარტავს ოჯახის ცნებას, შეუძლებელია ოჯახს მიკუთვნებულ პირთა წრის, უნივერსალური ფორმულირება რომელიც მართალი იქნება თუნდაც მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობისთვის. მაშასადამე ვერ მოხდება ოჯახს მიკუთვნებულ პირთა წრის სრულყოფილი განსაზღვრა იქიდან გამომდინარე რომ, თითოეული ნორმატიული აქტი მას განსაზღვრას მისი მიზნებიდან გამომდინარე. ამ მხრივ ისმის კითხვა, - ვინ იგულისხმება ოჯახს მიკუთვენულ პირებად სამართლებრივი აღქმით? - ამ კითხვაზე შეუძლებელია პასუხის გაცემა, მანამ სანამ არ მოხდება ოჯახის სოციალური აღქმის განმარტება, რადგან სამართლებრივი აღქმა საწყისს იღებს სოციალური აღქმიდან, ხოლო წინა თავში მოყვანილი მაგალითები სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით აშკარად უარყოფს სოციალური აღქმის იმ ფორმულირებას რომელიც ასე ფართოდაა გავრცელებული.

ოჯახის სოციალური აღქმის ტრადიციული ფორმულირება - „ქორწინების თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი," საჭიროა გაფართოვდეს. როგორც უკვე აღვნიშნე, ევროპის

სასამართლო სცდება ოჯახის ფორმალურ აღქმას და ის მოიცავს ფაქტობრივ ურთიერთობებსაც, მათ შორის ერთსქესიანთა ქორწინების თუ თანაცხოვრების შედეგად წარმოქმნილ ფაქტობრივ ურთიერთობებს, რომლებიც უკვე რეგულირებულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში და წარმოქმნის როგორც სამართლებრივ შედეგებს ისე სტატუსსებს. მაშასადამე, ოჯახი სოციალური აღქმით აღარ გულისხმობს მხოლოდ ქორწინების თუ ნათესაობის შედეგად წარმოქმნილ ურთიერთობებს, არამედ თავის თავში მოიაზრებს ნებისმიერი სახის კავშირს, რომელიც მიზნად ისახავს პირებს შორის საოჯახო ურთიერთბების წარმოქმნას. აქედან გამომდინარე, ოჯახის სამართლებრივი აღქმა არის არა იმ პირთა წრის განსაზღვრება რომლებიც ოჯახს მიკუთვნებულ პირებად მიიჩნევიან, არამედ იმ პირთა წრე რომელთა ქონებრივი და პირადი უფლება-მოვალეობები დაცულია სახელმწიფო კანონმდებლობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლებრივი აღქმა არ და ვერ განსაზღვრას ოჯახს მიკუთვნებულ პირებს რადგან ამ ოჯახის სრული განსაზღვრება სოციალური აღქმისთვისაც კი იმდენად რთულია რომ, შეუძლებელია მისის ერთმნიშვნელოვანი ფორმულირება. ამას ცხადყოფს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სადაც სასამართლომ მიიჩნია რომ, ოჯახური ურთიერთობა არსებობდა, ერთ საცხოვრებელ სახლში თანაცხოვრების მიუხედავად.[36] აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მივემხრობი იმ აზრს რომ, სამართლებრივი აღმით, ოჯახს მიკუთვნებულ პირთა სრული განსაზღვრება, შეუძლებელია.[37] აქედან გამომდინარე, ოჯახის სამართლებრივი აღქმა არის არა ოჯახის განსაზღვრება, არამედ იმ პირთა წრე რომელთა ქონებრივი და პირადი უფლებებიც დაცულია კანონმდებლობით.

[36] P.M v. The United Kingdom. 6648/03. (19.07.2005)

[37] Антоколская М. В., Семйное Право. Москва: Юрист. 2002.

რეგისტრირებული ქორწინება

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიხედვით, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომლის მიზანია ოჯახის შექმნა და რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობითობას. ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი ქორწინების ცნებას უმატებს ქორწინების რეგისტრაციის აუცილებლობას. მაშასადამე, იმისთვის რომ ქორწინება იურიდიული ხასიათის მქონე ურთიერთობად ჩამოყალიბდეს, სავალდებულოა მისი რეგისტრაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. აღსანიშნავია სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლიც, რომლის ფორმულირებიდანაც ირკვევა, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობები მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციისას წარმოიშობა. ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია, როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში,[38] ისე ქორწინების სახლებში[39] და სანოტარო ბიუროში[40] დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა, ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაცია, როდია ყველა ქვეყანაში სავალდებულო. არსებობს ქვეყნები სადაც რელიგიური ცერემონია საკმარისი პირობაა ქორწინების რეგისტრაციისთვის. ამრიგად, ქვეყნები ქორწინების ფორმის მიხედვით, შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად, ესენია:

---

[38] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997. მუხლი 1106.

[39] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის ბრძანება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ. 2012. მუხლი 2, პუნქტი 10.

[40] საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ. 2009. 40[1] პრიმა მუხლი.

1. ქვეყნები სადაც, ქორწინებისას სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებში მათი რეგისტრაცია - საქართველო, აზერბაიჯანი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ჰოლანდია, ავსტრია, უნგრეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ესტონეთი, მოლდოვა, მონაკო, სერბეთი, ნიდერლანდები, უკრაინა..
2. ქვეყნები სადაც, გათანაბრებულია სახელმწიფო ორგანოებში და საეკლესიო წესით რეგისტრირებული ქორწინება - ინგლისი, დანია, ესპანეთი, იტალია, ავსტრალია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი, ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი, პორტუგალია, ლიტვა, ლატვია, მალტა, პოლონეთი, საბერძნეთი..
3. ქვეყნები სადაც, არსებობს ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმა - ისრაელი, ერაყი, ირანი, აშშ-ს ზოგიერთი შტატი, კანადის ცალკეული პროვინციები..[41]

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა როგორ დარეგულირდება ის ურთიერთობა, რომელშიც საქართველოს მოქალაქე ისრელის მოქალაქესთან შევა საქორწინო ურთიერთობაში ისრაელის ტერიტორიაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ისრაელი მიეკუთვნება იმ ქვეყნების ჩამონათვალს სადაც არსებობს ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ანუ რელიგიური ფორმა, ხოლო საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ქორწინების რელიგიურ ფორმას, ერთი შეხედვით ისრაელის კანონმდებლობით აღიარებული ქორწინება არ უნდა ჩაითვალოს საქართველოში აღიარებულ ქორწინებად. თუმცა, საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ რეგულირების ქვეშ აქცევს მსგავს ურთიერთობას. კანონის 44-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით - „ქორწინების ფორმის საკითხი განისაზღვრება იმ

[41] Serife Yigit v. Turkey. (02.11.2010). N 3976/05. გვ.9. იხ. თუმანიშვილი გ. გ., საქორწინო კონსტრაქტი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ასპექტები. თბილისი. დისერტაცია. 2010, გვ. 37.

ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება..“ მაშასადამე, ამ მუხლიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მნიშვნება არ აქვს თუ რომელი ქვეყნის სამართლის მიხედვით განხორციელდა ქორწინება, თუ იმ ქვეყნის სამართალი ცნობს მას, მაშინ ანალოგიურს აკეთებს საქართველოს სახელმწიფოც.

კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებული ქორწინება, თავისთავად წარმოშობს მეუღლეებს შორის გარკვეულ ქონებრივ და არაქონებრივ უფლება მოვალეობებს. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე აქცენტირებას გავაკეთებ მხოლოდ ქონებრივ უფლებებზე. აშკარაა სახელმწიფოს მიდგომა საკუთრების უფლებასთან, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლით არის დაცული და რომლის შეზღუდვაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები.[42] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი განსაზღვრავს ქონების ცნებას, რომლის მიხედვითაც, „ქონება, არის ყველა ის ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“ თავისთავად, ნივთები არსებობს ორი სახის, მოძრავი და უძრავი,[43] ხოლო იმის მიხედვით მოძრავია ნივთი თუ უძრავი, იგი განსხვავებულად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. სანამ კანონმდებლობა უძრავი ქონების დაცვის მეტ საშუალებას გვთავაზობს, მოძრავი ნივთებთან მიმართებაში ის შეიძლება შედარებით ლმობიერადაც კი მოგვეჩვენოს.

სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის მიხევით, ქორწინების განმავლობასი შეძენილი ქონება, თუ საქორწინო ხელშეკრულება რაიმე სხვა დათქმას არ ითვალისწინებს, წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, მიუხედავად იმისა თუ რომელი მეუღლის შემოსავლით იყო იგი შეძენილი.

[42] საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია. მუხლი 19.
[43] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997. მუხლი 148.

მეუღლეთა თანასაკუთრებასთან მიმართებაში, ასევე საინტერესოა კოდექსის 1159-ე და 1160-ე მუხლები, რომლის მიხედვითაც მეუღლეები თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას მართავენ და განკარგავენ ურთიერთშეთანხმებით. განკარგვასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა 1160-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი იმის გამო, რომ მეორე მეუღლემ არ იცოდა ამ გარიგების არსებობის შესახებ. აქედან გამომდინარე მესამე პირებან ურთიერთობაში, იგულისხმება რომ მეუღლეები მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მეუღლე ასხვისებს ქონებას, იგულისხმება რომ ის ამას მეორე მეუღლის თანხმობით აკეთებს. ასევე, სანამ სხვა ქონებრივ უფლებებს შევეხებოდეთ, მნიშვნელოვანია გავითვალისწონოთ, თანასაკუთრების ბუნება. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი განსაზღვრავს საკუთრების შეძენის საფუძველს უძრავ ნივთთან მიმართებაში, სადაც აღნიშნულია, რომ ხსენებული უფლების შესაძენად საჭიროა მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრი, მაშასადამე, კოდექსის 1158-ე მუხლი მეუღლეთა თანასაკუთრების შესახებ, არ არის იმპერატიული დათქმა, მეტიც, ეს არის უფლება რომლის განხორციელებაც შესაძლებელია ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.[44] აღნიშნულიდან გამომდინარე, ქორწინების რეგისტრაცია ავტომატურად არ ხდის ქორწინების განმავლობაში შეძელინ ქონებას მეუღლეთა თანასაკუთრებათ, თუმცა შესაძლებლობას აძლევს ერთ-ერთ მეუღლეს, სურვილის შემთხვევაში მოითხოვოს ქონების თანამესაკუთრედ რეგისტრაცია ქორწინების მოწმობის საფუძველზე. გამომდინარე იქიდან რომ, ქორწინებისას იშვიათად თუ ხდება მეუღლეების

[44] კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საკითხები. ჟ. მართლმსაჯულება და კანონი. 2011, N2(29), გვ. 103. იხ. ქავთარაძე ს., მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის პრობლემა უძრავ ნივთებთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში. ჟ. სტუდენტური სამარლებრივი ჟურნალი. 2012 გვ. 43. იხ. საქართველოს უზენაესი სასამარლოს, 2002 წ. 9 დეკემბრის განჩინება საქმის ნომრით N 3კ/932-02

მიერ, ქონების რეესტრში თანასაკუთრებად რეგისტრაცია, საგულისხმოა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლიც, რომელიც რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას ითვალისწინებს საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ასევე მესამე პირსთვის რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად და მაშასადამე ის ითვლება კეთილსინდისიერ შემძენად.[45] აღნიშნული მდგომარეობა შესაძლოა გარკვეულწილად ზღუდავდეს იმ მეუღლის უფლებებს, რომელიც ფაქტობრივად კი წარმოადგენს ნივთის თანამესაკუთრეს თუმცა ფორმალური ნაწილის არ ცოდნის გამო შესაძლოა მისი უფლება შეიზღუდოს. მეუღლეთა საკუთრებაზე საუბრისას მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების რეჟიმის განსაზღვრას, ანუ იმ მახასიათებლებს რომლითაც ესა თუ ის ნივთი გამოირცევა. სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლში საუბარია მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებაზე, რომლის ჩამონათვალშიც შედის ის ქონება რომელიც მეუღლეებს ეკუთვნოდათ დაქორწინებამდე, ასევე ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, და ის ნივთები რომლებიც თავისი არსით, პირადი მოხმარების ნივთებია. ამ უკანასკნელისთვის მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელმა მეუღლემ შეიძინა პირადი მოხმარების საგანი, რადგან ერთის მიერ შეზენილი ნივთი შეიძლება მეორე მეუღლის პირადი მოხმარების საგანს წარმოადგენდეს. აქვე ყურადღებას გავამახვილებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც „თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა(გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ უძრავი ან მოძრავი

[45] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997. მუხლი 312-ის მეორე ნაწილი.

ქონების საერთო ღირებულება, ქორწინების პერიოდში, ნებისმიერი სახით, იქნება ეს კაპიტალური რემონტი თუ მიშენება, მნიშვნელოვნად გაიზარდა, იგი ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად. ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არ აქვს მეუღლეთა საერთო სახსრებით მოხდა ქონების ღირებულების გაზრდაზე ზემოქმედება თუ ერთ-ერთი მეუღლის მიერ. მიუხედავად ამისა, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს განსხვავებულ დათქმას.[46] ანალოგიურად, მეუღლეებს უფლება აქვთ, ქორწინების პერიოდშივე გაყონ არსებული თანასაკუთრება.[47] როგორც წესი, მეუღლეების თანაზიარ ქონებაზე წილი წინასწარ განუსაზღვრელია, თუმცა წილის განსაზღვრა მოხდება ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის ქონების გაყოფის მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში.[48]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მიხედვით, „მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.“ ერთი შეხედვით, ამ მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, მეუღლეებს შორის დადებული ამგვარი ხელშეკრულება აწესრიგებს მხოლოდ მათ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს.[49] თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ კოდექსის 1179-ე მუხლი კრძალავს ისეთი სახის შეთანხმებას რომლითაც იცვლება კანონით დადგენილი მეუღლეთა ურთიერთრჩენისა და საალიმენტო მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, დავის შემთხვევაში სასამართლოში მიმართვის უფლება ან ისეთი პირობების გათვალისწინება რომელითაც ერთ-ერთი მეუღლე მძიმე

[46] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: მერიდიანი, 2011, გვ. 161-162. იხ. შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: სამართალი. 2000, წიგნი V, გვ. 115.

[47] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997. მუხლი 1164.

[48] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: მერიდიანი, 2011, გვ. 162.

[49] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: სამართალი. 2000, წიგნი V, გვ. 127-129.

მდგომარეობაში დგება. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუხლი არ ზღუდავს საქორწინო ხელშეკრულებაში არაქონებრივ უფლება-მოვალეობებზე შეთანხმებას, ხოლო 1172-ე მუხლიში აღნიშნულია, რომ საქორწინო ხელშეკრულებით განისაზღვრება მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. რადგანაც საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება დათქმა, რომლითაც მეუღლეებს შორის საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება განისაზღვროს მათი არაქონებრივი უფლება მოვალეობები, მაშასადამე, მივდივართ დასკვნამდე, რომ მეუღლეებს აქვთ უფლება საქორწინო ხელშეკრულებაში განსაზღვრონ როგორც ქონებრივი ისევე არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები.[50] იმის გათვალისწინებით, რომ კანონის მოთხოვნები მეუღლეთა თანასაკუთრებასთან მიმართებაში, შეიძლება წყვილისთვის მიუღებელი იყოს, საქორწინო ხელშეკრულება ერთგვარი შესაძლებლობაა მათთვის ქონებრივი ურთიერთობები დაარეგულორონ შეხედულებისამებრ, იმისდა მიუხედავარ, რომ ის არ იძლევა შესაძლებლობას მეუღლეთა ქონებრივი უფლებების სრული, კანონმდებლობის მოთხოვნებისგან, განსხვავებული რეგულიციებისთვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლში ვკითხულობთ - „მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ასეთ დახმარებაზე უარის თქმისას ან/და სარჩოს მიცემის შესახებ მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ: შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში“. მეუღლეთა ურთიერთრჩენის ეს ვალდებულება, შეუძლებელია შეიცვალოს საქორწინო ხელშეკრულებით. ეს ვალდებულება ჩნდება მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში და ასეთის

[50] თუმანიშვილი გ. გ., საქორწინო კონსტრაქტი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ასპექტები. თბილისი. დისერტაცია. 2010, გვ. 12-14. შეად. შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: სამართალი. 2000, წიგნი V, გვ. 129.

არსებობისას, მნიშვნელობა არ აქვს ფაქტობრივად ერთად ცხოვრობენ თუ არა მეუღლეები. ანალოგიურად, მხოლოდ წყვილის თანაცხოვრება, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე არ წამოშობს ურთიერთრჩენის მოვალეობას.[51] ასევე საყურადღებოა სამოქალაქო კოდექსის შემდეგი, 1182-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მეუღლე ინარჩუნებს სარჩოს მიღების უფლებას განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან განქორწინებიდან ერთი წლის მანძილზე. მაშასადამე, ურთიერთრჩენის მოვალეობა არ წყდება განქორწინების შედეგად და შესაძლოა გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით,[52] მანამ სანამ ალიმენტის მიმღები მეუღლის შრომისუნარობა გაგრძელდება ან ხელახდა იქორწინებს.[53]

რეგისტრირებული ქორწინებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს არ წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებები, როგორიცაა ერთად ცხოვრება, რადგან მეუღლეთა უფლება-მოვალეობები, ხშირ შემთხვევაში უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა ადგილი თანაცხოვრებას. მაშასადამე, მეუღლეები რომლებიც სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ უნარჩუნდებათ ურთიერთრჩენის მოვალეობა. სწორედ ეს განსხვავებაა, ოჯახის სოციალურ და სამართლებრივ გაგებას შორის. სამართლებრივი გაგება მეტადაა დამოკიდებული არა იმდენად ოჯახის წევრთა ფაქტობრივ არამედ იურიდიულ კავშირზე, რადგან მათ შორის ურთიერთობები რეგულირებულია სამართლებრივი ნორმებით.[54]

სამოქალაქო პარტნიორობა

[51] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: სამართალი. 2000, წიგნი V, გვ. 148.
[52] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: სამართალი. 2000, წიგნი V, გვ. 148.
[53] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997. მუხლი 1186.
[54] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: მერიდიანი, 2011, გვ. 14.

უკანასკნელ პერიოდში, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში გამოჩნდა ახალი ინსტიტუტი, სამოქალაქო პარტიორობა „Civil Partnership/Union," "Domestic Partnership," რომელიც ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს აღჭურვავს მსგავსი უფლებებითა და მოვალეობებით, როგორც ეს რეგისტრირებული ქორწინებისას ხდება. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო დონეზე, ეს ურთიერთობა არ არის ნახსენები როგორც ქორწინება, არამედ მოხსენიებულია როგორც პარტნიორობა ან კავშირი. აღნიშნული, გამომდინარეობს იქიდან, რომ მრავალი ქვეყნის საზოგადოებრივ აღქმაში, ქორწინების ტრადიციული გაგებაა ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომლის მიზანიც ოჯახის შექმნაა. ქორწინების მსგავსი განმარტება თავისთავად გამორიცხავს ერთი სქესის წარმომადგენლების მიერ ქორწინებაში შესვლას. თუმცა, რადგან იმ ქვეყნებში სადაც სამოქალაქო პარტნიორობა დაშვებულია, პარტნიორებს იგივე უფლებები და მოვალეობები აქვთ რაც რეგისტრირებული ქორწინებისას ექნებოდათ, საჭიროდ ჩავთვალე ამ ინსტიტუტის ქორწინების ნაწილში მოხსენიება, მიუხედავად მისი ფორმალური სახელწოდებისა.

სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო პრინციპებს. სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით მოხდა აღნიშნული ინსტიტუტის დამკვიდრება სხვადასხვა სახელმწიფოში. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისა და მათი შედარების შედეგად, შესაძლებელია სამოქალაქო პარტნიორობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესების განსაზღვრა.[55] გაერთიანებულ სამეფოში, 80-იან 90-იან წლებში, რთულად თუ იქნებოდა წარმოსადგენი, რომ ამ ურთიერთობის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების აუცილებლობა დადგებოდა.

[55] იხ. Rees v. The United Kingdom, 17.10.1996 - შეად. Cossey v. The United Kingdom, 27.09.1990 - შეად. X, Y et Z v. The United Kingdom, 22.04.1997 - შეად. Sheffield and Horsham v. The United Kingdom, 30.07.1998. - შეად. Christine Goodwin v. The United Kingdom, Grand Chamber, 11.07.2002 – შეად. R. and F. v. The United Kingdom, 11.2006.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში ყურადღება გამახვილებულია თანაცხოვრების იმ ფაქტობრივ მახასიათებლებზე, რომლებიც ახასიათებს ქორწინებას და მიუხედავად ამისა გადაწყვეტილებებში მაინც არ ხდება ურთიერთობის, საკანონმდებლო დონეზე, ქორწინებად მოხსენიება, ამ უკანასკნელის კლასიკური შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც საწინააღმდეგო სქესის პარტნიორთა კავშირს გულისხმობს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საქმეზე, რომელშიც მოსარჩელე უკვე იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში,[56] ხოლო სქესის ქირურგლიული ჩარევით, ცვლილების შემდეგ, სქესის აღიარების სერტიფიკატის მისაღებად,[57] იძულებული გახდა ქორწინება შეეწყვიტა, რის შემდეგაც შესაძლებლობა ექნებოდა სამოქალაქო კავშირში შესულიყო ყოფილ მეუღლესთან. საქმე იმაშია, რომ იმისთვის რომ, სქესის აღიარება მოხდეს ფორმალურად, საჭიროა ქორწინების ან სამოქალაქო პარტნიორობის შეწყვეტა იმ პირთათვის, რომლებიც უკვე იმყოფებიან ამ ურთიერთობაში. ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ ქორწინებაში ან სამოქალაქო პარტნიორობაში მყოფი პირი, რომელმაც ქირურგიული ჩარევით შეიცვალა სქესი და მოახდინა სქესის ცვლილების რეგისტრაცია, ვეღარ შეძლებდა უკან, იმავე სამართლებრივ ურთიერთობაში დაბრუნებას. მაშასადამე, ეს შეუძლებელს გახდიდა ერთი სქესის წარმომადგენლების, რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნას, ისევე როგორც საპირისპირო სქესის წარმომადგენლების სამოქალაქო პარტნიორობაში ყოფნას.

ანალოგიური ვითარებაა ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც. აღსანიშნავია ადამიანთა უფლებათა ევროპული კონვენციის[58] 8-ე და 12-ე მუხლები. მერვე მუხლში საუბარია პირად და ოჯახური ცხოვრების უფლებებზე, თუმცა ის ასევე

[56] R. and F. v. The United Kingdom, 11.2006.

[57] Gender Recognition Act 2004., პარაგრაფები, 1, 2, 4A, 9, 11.

[58] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. 1994

უშვებს ხელისუფლების ჩარევის შესაძლებლობას განსაკუთრებულ ვითარებაში. ხოლო, 12-ე მუხლში საუბარია ქორწინების უფლებაზე, ამ უფლების განხორციელების მიზანზე და იმაზე რომ, იგი ეროვნული კანონმდებლობით უნდა იყოს რეგულირებული. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ზემოთ ნახსენებ მუხლებზე დაყრდნობით, ევროკავშირის მრავალმა ქვეყანამ შეცვალა მიდგომა და განსაზღვრა ერთსქესიანთა ქორწინების პროცედურა. ანალოგიური ვითარებაა ამერიკის რამოდენიმე შტატშიც, სადაც ერთსექსიანი წყვილებისთვის შექმნილია ქორწინების ალტერნატივა, იქიდან გამომდინარე, რომ კალიფორნიის შტატის კანონით, ქორწინებასა და სამოქალაქო პარტნიორობაში მყოფ პირთა უფლებები და მოვალეობები ერთნაირადაა რეგულირებული, სამოქალაქო პარტნიორობაში შესვლის უფლება აქვთ როგორც ერთ სქესიან წყვილებს, ისე საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს, იმ შემთხვევაში თუ ისინი 62 წელს არიან მიღწეულნი.[59]

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საზოგადოების დღვანდელი ზნეობრივი და რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე, გამართლებული მგონია, ქორწინების ცნების, როგორც საპირისპირო სქესის წარმომადგენლების კავშირის განსაზღვრა.

[59] Family Code., Division 2.5. Domestic Partner Registration. 1999, Section 297. შეად. Family Code. Division 3. Mariage. 1992, Section 300.

არარეგისტრირებული ქორწინება

რთულად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომლის კანონმდებლობითაც არ ხდება ქორწინებისას მეუღლეთა ინტერესების დაცვა. ერთი შეხედვით, წყვილისთვის სასურველი უნდა იყოს საქორწინო ურთიერთობის დაწყება, სწორედ იმიტომ, რომ ის რეგულირებულია კანონით და სახემწიფო უზრუნველყოფს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა უფლებების დაცვას. ამისდა მიუხედავად, უკანასკნელ პერიოდში, საგრძნობლად იმატა არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვმა. როდესაც არარეგისტრირებულ ქორწინებაზე ვსაუბრობთ, საჭიროა აღვნიშნოთ, მნიშვნელოვანი პირობა იმისთვის, რომ ურთიერთობა არ ჩაითვალოს ქორწინებად, ის არ უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული. არარეგისტრირებულ ქორწინებაშ შესაძლია ახასიათებდეს ქორწინების ცნებისთვის დამახასიათებელი ერთი ან რამდენიმე ნიშანი. მაშასადამე, რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების ფაქტობრივი ურთიერთობა შეიძლება უთანაბრდებოდეს ერთმანეთს. გააჩნდეთ საერთო შემოსავალი, ეწეოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას, ქონდეთ თანაზიარი ქონებრივი უფლებები და ა.შ. გაურკვეველია თუ რამ გამოიწვია არარეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობის ასეთი ზრდა ბოლო პერიოდში. თუმცა ფაქტია რომ ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი გაურბის რეგისტრირებულ ქორწინებაში შესვლას სანამ უარს არ ამბობს არარეგისტრირებულ ქორწინებაზე. აღნიშნული შესაძლია იმ პასუხისმგებლობას და მოვალეობებს მივაწეროთ რომელსაც რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს, ან უფრო სწორად პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების შიშს. შესაძლებელია მიზეზი, ურთიერთობის დასრულების შემთხვევაში განქორწინებულის სტატუსით არ ყოფნის სურვილი იყოს. ფაქტია არარეგისტრირებული ქორწინების

დასრულება ბევრად უფრო მარტივია ვიდრე რეგისტრირებულის და არ საჭიროებს ფორმალურ პროცედურებს. ამ მხრივ წყვილები რომლებიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან შესაძლოა 2 ძირითად ჯგუფად გავყოთ, ისინი ვინც გათვითცნობიერებულად არ შედიან კანონით დადგენილი წესით საქორწინო ურთიერთობაში და ისინი ვინც გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახდენენ ამას. მიუხედავად მიზეზებისა, ფაქტია რომ არარეგისტრირებული ქორწინების რიცხვმა იმატა.

არარეგისტრირებული ქორწინების რიცხვის ზრდას, ცხადყოფს სხვადასხვა კვლევები, მაგალითად, კენსუსის ბიუროს 2017 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით, 2016 წელს ამერიკის მოსახლეობის 45.2 პროცენტი არ იყო ქორწინებაში, რომლიდანაც 63.5 პროცენტი არასდროს ყოფილა რეგისტრირებულ ქორწინებაში, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მანამდე ჩატარებულ კვლევების მონაცამებს.[60] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცამების მიხედვით, ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი, (ქორწინებათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 კაცზე) 2010 წლის მონაცემებთან შედარებით - 9.2, 2018 წლის მონაცემებით შემცირებულია 6.2-მდე.[61] ხოლო განქორწინებათა რაოდენობის ზოგადი კოეფიციენტი 1000 კაცზე, დროის იმავე მონაკვეთში გაზრდილია 1.2-ით.[62] აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქორწინებამ დაკარგა თავისი აქტუალურობა.

---

[60] U.S Department of Commerce Economics and Statistic Administration., U.S ENSUS BUREAU., https://www.census.gov/content/dam/Census/newsroom/facts-for-features/2017/cb17-ff16.pdf (19.03.19)., შეად. Pew Research Center Social & Demographic Trends., კვლევა https://www.pewsocialtrends.org/2014/09/24/record-share-of-americans-have-never-married/ (19.03.19)

[61] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__Demography__Marriages/39_-_Crude_marriage_rate.px/table/tableViewLayout2/?rxid=d486e7af-3dbe-4dad-8882-9dd21b08add1 (14.06.2019)

[62] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. < http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__Demography__Divorces/46_-_Crude_divorce_rate.px/table/tableViewLayout2/?rxid=66e61ebf-5413-4cca-8d4c-188dc0f1ab60> (14.06.2019)

ჯვრისწერა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში, ჯვრისწერის რეგისტრაცია, რომელსაც ეკლესია ახდენს, არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინების რეგისტრაციას. მაშასადამე, ჯვრისწერა არ წარმოშობს მეუღლეებს შორის სამართლებრივ შედეგებს. რელიგიური ქორწინება შედგება ორი ნაწილიშგან, თავდაპირველად ხდება დაწინდვა, რაც ნიშნავს ქორწინების პირობას,[63] ანუ ნიშნობას, ხოლო შემდგომი ეტაპია გვირგვინის კურთხევა,[64] რის შემდეგაც წყვილი ითვლება ჯვარდაწერილად. სამოქალაქო კოდექსის 1109 მუხლის მიხედვით, ნიშნობა არ იწვევს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას, მაშასადამე, დანიშნულ პირთა შორის არ წარმოიქმნება არანაირი ქონებრივი უფლება მოვალეობები,[65] რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოქმნის ამ უფლებას. იქიდან გამომდინარე, რომ ქორწინება წარმოადგენს შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთს, მისი გაუქმება ძალზედ რთულია და მხოლოდ კონკრეტული გარემოებების დადგომისას ხდება. აღნიშნული ასახულია მათეს სახარებაშიც, რომლშიც ნახსენებია „..ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე ნუ განაშორებს კაცი.“[66]

---

[63] Petrosillo P., ქრისტიანობის ლექსიკონი., თარგმნა სააკაშვილი მ., გვ. 62., თბ. 2011.

[64] საეკლესიო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. http://www.orthodoxy.ge/tsnobarebi/leksikoni_ganmart/kani.htm

[65] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: სამართალი. 2000, წიგნი V, გვ. 33-34.

[66] ბიბლია. ახალი აღთქმა. სახარება მათესი.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ქრისტიანს, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით, ნება ქონდა მეორედ და მესამედ დაეწერა ჯვარი.[67]

მას შემდეგ რაც, ქრისტიანული რელიგია საქართველოში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა აღიარებული მეოთხე საუკუნეში, ქორწინების რეგისტრაციას მხოლოდ ეკლესია ახდენდა. მდგომარეობა 1920 წელს, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის კანონის მიღებისა და 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით შეიცვალა, რომლის მიხედვითაც „სარწმუნოებრივ ხასიათის ქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.“[68] საბჭოთა რეჯიმის დამყარების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ კანონით დასაშვები იყო, ჯვრისწერა პრაქტიკულად აიკრძალა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.[69]

ამ მხრივ ვითარება დღესაც არ შეცვლილა. საქართველოს კონსტიტუციის მერვე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ხოლო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობები განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. რომელიც თავის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრონციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში. ხოლო, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მესამე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის

---

[67] ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1929. წიგნი II. გვ. 237.

[68] საქართველოს კონსტიტუცია. 1921. მუხლი 31.

[69] ჩიკვაიძე დ. ჯვრისწერის იურიდიული აღიარების პრობლემები. http://www.orthodoxy.ge/samartali/jvristsera.htm (24.06.2019)

მონაცემები.“[70] აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, სახელმწიფო ერთის მხრივ აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას, ხოლო მეორეს მხრივ არ აძლევს მას სამართლებრივ სტატუსს. მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებაც, რომ საქართველოს მოსახლეობას არ წარმოადგენს მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები, არამედ სხვადასხვა აღმსარებლობის მოქალაქეები. ჯვრისწერისთვის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის მინიჭება კი დისკრიმინაციული შეიძლება იყოს მათ მიმართ.

რელიგიურ ქორწინებასთან მიმართებით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სერიფე იგითი თურქეთის წინააღმდეგ,[71] ითხოვდა რელიგიური ქორწინების საფუძველზე იგივე უფლებების მიღებას, რომლითაც თურქეთის კანონმდებლობით მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება აღჭურვავდა. როგორც ცნობილია, თურქეთში, ისევე როგორც საქართველოში, რელიგიური ქორწინება არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. ამ საკითხთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ გაამართლა თურქეთის სასამართლოს გადაწყვეტილება რელიგიურ ქორწინებაში მყოფი პირისათვის არ მიენიჭებინა, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფის პრივილეგიები. სტრასბურგის სასამართლოს მსჯელობა ემყარებოდა მუსლიმური რელიგიის მიდგომას პოლიგამიასთან (მრავალცოლიანობასთან) მიმართებით და სეკულარიზმის პრინციპს, რომელიც ასახულია თურქეთის სახელმწიფოს კონსტიტუციაში. მასასადამე, რელიგიური ქორწინების გათანაბრება რეგისტრირებულ ქორწინებასთან, გამოიწვევდა სხვა რელიგიური წესების აღიარებასაც, მათ შორის

[70] „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის” კონსტიტუციური შეთანხმება. 2002. მუხლი 3.
[71] Serife Yigit v. Turkey. (02.11.2010). N 3976/05.

პოლიგამიას, რაც ქალს უფლებრივად მამაკაცზე დაბლა დააყენებდა. აქედან გამომდინარე, მსგავსი აკრძალვა ემსახურება დისკრიმინაციის პრევენციას.

ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია განვიხილოთ ქრისტიანული რელიგიისთვის ქალისა და კაცის უფლებრივი თანასწორობა. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საწყის ეტაპებზე ქალები, ისევე როგორც კაცები იესოს მიმდევრებად და მოწაფეებად გვევლინებიან. რა თქმა უნდა არასწორი იქნებოდა ქალებისა და მამაკაცების უფლებრივად ერთ დრონეზე დაყენება იმ პერიოდში, რადგან ებრაელები ცალსახად განასხვავებდნენ მათ უფლებრივად თუ გონებრივი შესაძლებლობების თვალსაზრისით, მაშასადამე, სოციოლოგიური თვალსაზრისით ქალი და კაცი თანასწორებად ვერ იქნებოდნენ აღქმულები. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას განვიხილავთ ბიბლიის მიხედვით, აშკარაა რომ ქრისტიანული რელიგია ადგენს ზოგად თანასწორობის იდეას „უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი, არც მდედრო, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში.“[72] ვითარება შეიცვალა შუა საუკუნეებში და შემდგომ პერიოდშიც, რაც საზოგადოების მენტალობის ცვლილებას შეგვიძლია დავუკავშიროთ. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ქრისტიანული რელიგიისთვის სწორედ ბიბლიაა პირველწყარო, მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის ფორმალური დანაწესი რომელსაც აღნიშნული გვთავაზობს. თანასწორობა ერთმნიშვნელოვნად განასხვავებს ქრისტიანულ რელიგიას სხვა რელიგიებისგან.

თანაცხოვრება

[72] ბიბლია. ახალი აღთქმა. ეპისტოლე პავლე მოციქულისა გალატელთა მიმართ.

შეუძლებელია არარეგისტრირებულ ქორწინებაზე საუბარი თანაცხოვრების ელემენტის გათვალისწინების გარეშე. რეალურად, როგორც ჯვრისწერა ისე ნიშნობა დამოუკიდებლად არ წამოადგენს ფაქტობრივ ქორწინებას თუ სახეზე არ გვაქვს წყვილთა თანაცხოვრობა. როგორც უკვე აღვნიშნე, იმისთვის, რომ ქორწინება არარეგისტრირებულად ჩაითვალოს, მნიშვნელოვანია ორი პირობა - პირველი ის რომ, აღნიშნული ურთიერთობა არ უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოში დარეგისტრირებული როგორც ქორიწნება და მეორე, ის რომ ურთიერთობა ატარებდეს ქორწინებისთვის სხვა დამახასიათებელ ელემენტებს, როგორებიცაა ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, ერთმანეთისადმი ზრუნვა, ერთობლივი სარგებლობისათვის ქონების შეძენა და სხვა ისეთი ქმედებების განხორციელება რომელიც ოჯახის შექმნას უკავშირდება. აქვე მნიშვნელოვანია რომ, არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაშიც, ხშირ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დასაქორწინებელ პირთა ნება შექმნან ოჯახი, ეწეოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას, ზრუნავდნენ ერთმანეთზე და ა.შ. ეს განსაკუთრებით მართალია იმ შემთხვევაში როდესაც პირები, ჯვრისწერის შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო არ შედიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. თანაცხოვრება არ არის აუცილებელი უკავშირდებოდეს ოჯახის შექმნას, რადგან შესაძლოა პირები ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდნენ თუმცა არ ახასიათებდეთ ისეთი ელემენტები როგორებიცაა ერთმანეთისადმი ზრუნვა, საერთო მეურნეობის წარმოება, ქონების ერთობლივად შეძენა და განკარგვა და სხვა. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, თანაცხოვრებას აღვიქვამ როგორც იმ გარემოებას, რომელიც მიმართულია ოჯახის შექმნისკენ. თანაცხოვრებისას იურიდიული შედეგების წარმოქმნის თვალსაზრისით, ქვეყნები სამ ძირითად კატეგორიად იყობა, ესენია:

1. ქვეყნები სადაც, თანაცხოვრება საკანონმდებლო დონეზეა აღიარებული და ის წარმოქმნის სამართლებრივ შედეგებს - საფრანგეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, სერბეთი.
2. ქვეყნები სადაც, თანაცხოვრება არ არის კანონმდებლობაში ასახული, თუმცა ის გარკვეულწილად მაინც წარმოქმნის სამართლებრივ შედეგებს - ავსტრია, უნგრეთი ბელგია, ჩეხეთი, იტალია, ნიდერლანდები..
3. ქვეყნები სადაც, თანაცხოვრება არ წამოშობს არანაირ იურიდიულ შედეგს - აზერბაიჯანი, ლატვია, გერმანია, ესტონეთი, მალტა, მოლდოვა, მონაკო, რუმინეთი, ირლანდია საქართველო..[73]

როგორც ჩამონათვალიდან ირკვევა, საქართველოში თანაცხოვრება არ წარმოშობს არანაირ იურიდიულ შედეგს. ამ მხრივ საინტერესოდ მიმაჩნია ისეთი მაგალითის მოყვანა სადაც საქართველოს მოქალაქე, მაშასადამე იმ ქვეყნის მოქალაქე რომელის კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს თანაცხოვრებისას რაიმე სამართლებრივი შედეგის წარმოქმნას, არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყეფება საბერძნეთის მოქალაქესთან, ანუ იმ ქვეყნის მოქალაქესთან რომლის კანონმდებლობაც თანაცხოვრების შემთხვევაში წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. აღნიშნულ ვითარებაში გვხვდება რთული სიტუაცია, რადგან ერთ ქვეყანაში აღიარებული ქორწინება, რომელიც წარმოქმნის სამართლებრივ შედეგებსა და სტატუსს არ არის აღიარებული სხვა ქვეყანაში, ამ შემთხვევაში საქართველოში. მაშასადამე, საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როდესაც სხვადასხვა ქვეყანის სასამართლომ შესაძლოა სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილებები გამოიტანოს.[74]

---

[73] Serife Yigit v. Turkey. (02.11.2010). N 3976/05. გვ. 9.

[74] ხვედელიანი დ., საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლოზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში. „მართლმსაჯულება. N 2. 2007. გვ. 101-102

რეალურად, კანონმდებლობით აღიარებული, ოჯახის შექმნის მიზნით დამყარებული კავშირის ერთადერთი ფორმა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს არის სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყვილის არარეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა შესაძლოა სულაც არ ნიშნავდეს იმას, რომ წყვილს არ სურს ურთოერთობის რეგისტრირება. არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები,[75] რომლებიც შესაძლოა ხელს უშლიდეს წყვილს ამ უფლების განხორციელებაში.

თანაცხოვრებასთან და მისგან წარმოქმნილ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით საინტერესოა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. საქმეში ჯონსონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ,[76] წყვილი რომელიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა, საშუალება არ ქონდათ რეგისტრირებულ ქორწინებაში შესულიყვნენ ერთმანეთთან, გამომდინარე იქიდან რომ, ირლანდიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ქორწინებისას გაყრას, ხოლო მამაკაცი მეუღლე უკვე იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. მაშასადამე, არარეგისტრირებული ქორწინებისას დაბადებული ბავშვი, ვერ იღებდა ლეგიტიმაციას. სასამართლომ დაადგინა, რომ მეუღლეების შემთხვევაში არ ქონია ადგილი კონვენციის მერვე და მეთოთხმეტე მუხლების დარღვევას, მიუხედავად იმისა რომ ისინი ვერ სარგებლობდნენ იმ უფლებებით რა უფლებებითაც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფები ისარგებლებდნენ, ხოლო შვილთან მიმართებაში დაადგინა მერვე მუხლის დარღვევა.[77] ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია პ.მ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.[78] საქმე, რომელშიც თანაცხოვრების შეწყვეტის შემდეგ, მამაკაცი ითხოვდა იგივე

---

[75] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997. მუხლი 1120.
[76] Jonson and Others v. Ireland. 9697/82. (18/12/1986).
[77] Jonson and Others v. Ireland. 9697/82. (18/12/1986). P. 21-27
[78] P.M v. The United Kingdom. 6648/03. (19.07.2005)

უფლებებს, გადასახადების შემცირებასთან დაკავშირებით, რა უფლებებიც რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში ექნებოდა. გამომდინარე იქიდან რომ, თანაცხოვრების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ბავშვის დაბადებას, რის გამოც თანაცხოვრების შეწყვეტის შემდეგ მამა იხდიდა ალიმენტს, სასამართლომ დაადგინა რომ, მიუხედავად განსხვავებებისა რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირებისა, ადგილი ქონდა კონვენციის 14-ე მუხლის დარღვევას რადგან მამას უკვე ჩამოყალიბებული ქონდა ოჯახური ურთიერთობა შვილთან.[79] ხოლო გადასახადების შემცირება მას სწორედ ალიმენტის გადახდაში, ანუ შვილის მიმართ მშობლის მოვალეობების განხორციელებაში დაეხმარებოდა. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა. რომ სასამართლო აშკრად მიჯნავს რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებას ერთმანეთისგან, ის მაინც უშვებს დაშვებას წინათ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა პირმა მიიღოს იგივე უფლებები რასაც რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში მიიღებდა. იგივეს ასახავს გადაწყვეტილება ნილუნდი ფინეთის წინააღმდეგ,[80] სადაც სასამართლომ განმარტა, „მიუხედავად იმისა რომ, გარკვეულ ასპექტებში თანაცხოვრებისას დე ფაქტო ურთიერთობები აღიარებულია, მაინც არსებობს განსხვავება დაქორწინებულ და დაუქორწინებელ პირებს შორის, კერძოდ კი მათ სამართლებრივ სტატუსსა და შედეგებში.“[81] აქვე საგულისხმოა საქმე რომელიც, ეხებოდა 65 წლიან თანაცხოვრებას რეგისტრირებული ქორწინების გარეშე,[82] სადაც სასამართლომ დაადგინა ოჯახური ყოფის არსებობა თუმცა მაინც გამიჯნა რეგისტრირებული და არეგისტრირებული ქორწინება ერთმანეთისგან.

---

[79] P.M v. The United Kingdom. 6648/03. (19.07.2005). P. 6-7

[80] Nylund v. Finland. 27110/95. (29.06.1999).

[81] Nylund v. Finland. 27110/95. (29.06.1999). P. 7

[82] Quintana Zapata v. Spain. 34615/97. (04.03.1998)

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას რომ, ევროპული სასამართო აიგივებს თანაცხოვრებისა და რეგისტრირებული ქორწინების სამართლებრივ შედეგებს იმ ნაწილილში როდესაც საქმე ეხება არარეგისტრირებული ქორწინებისას დაბადებული ბავშვის სამართლებრივ სტატუსსა და მის უფლებებს.[83] თუმცა ის მაინც იცავს ტრადიციული ქორწინებას და მიჯნავს ერთმანეთისგან რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებას მეუღლეთა ქონებრივი თუ პირადი უფლება-მოვალეობების ნაწილში.[84]

ამ მხრივ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაც ანალოგიურია, სანამ მშობლების ვალდებულებები შვილების მიმართ ადგილს იჩენს მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციისა,[85] თანაცხოვრების შემთხვევაში მეუღლეებს არ უჩნდებათ არანაირი ქონებრივი უფლებები ერთმანეთის მიმართ და ამ მხრივ ოჯახური ცხოვრების არსებობის ფაქტი მეორეხარისხოვანია.[86] მაშასადამე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სახეზე ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობები, ევროპული სასამართლოსგან განსხვავებით, სადაც გარკვეულ შემთხვევებში თანაცხოვრება შესაძლოა წარმოშობდეს იურიდიულ შედეგებს, საქართველოში მიდგომა შედარებით რადიკალურია.

---

[83] იხ. Inze v. Austria. 8695/79. (28.10.1997)., Marckx v. Belgium. 6833/74. (13.06.1979)., P.M v. The United Kingdom. 6648/03. (19.07.2005)., Jonson and Others v. Ireland. 9697/82. (18/12/1986).

[84] იხ. Jonson and Others v. Ireland. 9697/82. (18/12/1986)., Quintana Zapata v. Spain. 34615/97. (04.03.1998)., Serife Yigit v. Turkey. (02.11.2010). N 3976/05.

[85] ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქაალქო საქმეთა კოლეგია., 06.06.2019. N 2/6172-19., 06.05.2019. N 2/5232 – 19., ქ. თბილისის სამოქალაქო საქმეთა პალატა., 11.04.2019. N 33021001800248977.

[86] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. 25.01.2011. ას-681-637-2010., 12.10.2016. ას-749-717-2016.

1. შედეგები და მათი განსჯა

არარეგისტრირებული ქორწინებასთან მიმართებაში ლიტერატურის სიმწირიდან გამომდინარე რთულია განისაზღვროს ერთი უნივერსალური მიდგომა, რომელიც სრულიად დარეგულირებს და მოაქცევს ამ ინსტიტუტს სამართლებრივ ჩარჩოებში. მიუხედავად ამისა, გამოკვლეული მასალის ალანიზის შედეგად შესაძლოა მივიდეთ გარკვეულ შედეგებამდე. აღვნიშნავ რომ, არ გამაჩნია პრეტენზია იმის თაობაზე რომ, ქვემოთ მოყვანილი ერთადერთი ჭეშმარიტი შეხედულებაა.

- ქორწინების ინსტიტუტი იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში. ხოლო ის პრინციპები რომელიც დღეს ქორწინებას ახასიათებს: ნაბაყოფლობითობა, თანასწორუფლებიანობა, მეუღლეთა ურთიერთპატივისცემა და სხვა, ყოველთვის არ პოულობდა გამოხატულებას ამ ურთიერთობაში. მაშასადამე..
- ქორწინების ცნება და არსი ვითარდება და იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია საზოგადოების მენტალობასა და აღქმასთან.
- საქართველოში მოღვაწე იურისტთა აზრით, არსებობს და ერთმანეთისგან განსხვავდება ოჯახის სოციალური და სამართლებრივი აღქმა, მიუხედავად იმისა რომ, ორივე ზემოთაღნიშნულის მიხედვით, ოჯახის წარმოშობის საფუძველი ქორწინება თუ ნათესაური კავშირა.
- საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა იმ პირთა წრის ერთმნიშვნელოვან განსაზღვრებას, რომლებიც ოჯახს მიკუთვნებულ პირებად გვევლინებიან. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, მისი მიზნებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, გვხვდება ოჯახის მიკუთვნებულ პირთა წრის განსაზღვრა.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს იჯახს მიკუთვნებულ პირთა ჩამონათვალს.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, აშკარად იკვეთება ოჯახური ცხოვრების არსებობის აღიარება ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. მაშასადამე, ოჯახს მიკუთვნებულ პირთა წრე, დღესდღეისობით მოიაზრებს არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ ფაქტობრივ გარემოებებსაც, მაშასადამე..
- ოჯახის ცნება აღარ გულისხმობს მხოლოდ ქორწინებისა თუ ნათესაობის საფუძველზე წარმოქმნილ პირთა წრეს.
- ქორწინება არის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებული უფლება.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლებრივი შედეგი დგება მხოლოდ კანონმდელობის შესაბამისად რეგისტრირებული ქორწინებისას.
- საქართველოში, ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, ქორწინების სახლში ან ნოტარიუსთან.
- ქორწინების ფორმის მიხედვით ქვეყნები შესაძლოა დაიყოს 3 ჯგუფად, ესენია:
    I. ქვეყნები სადაც ქორწინებისას სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება.
    II. ქვეყნები სადაც ქორწინებისას სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს როგორც სახელმწიფო ისე რელიგიური ფორმით რეგისტრირებული ქორწინება.
    III. ქვეყნები სადაც ნებადართულია მხოლოდ რელიგიური სახის ქორწინება.

- ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შესაძლოა გახდეს მეუღლეთა თანასაკუთრება.
- უძრავ ნივთზე საკთრების მოპოვება ხდება საჯარო რეესტრში ნივთის რეგისტრაციით. საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე არსებობს რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმცია.
- მესამე პირებთან ურთიერთობაში იგულისხმება რომ, მეუღლეები მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებით.
- საქორწინო ხელშეკრულებით, მეუღლეებს აქვთ უფლება განსაზღვრონ როგორც ქონებრივი ისე პირადი უფლებები და მოვალეობები.
- ქორწინების რეგისტრაციისას წარმოქმნილი მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა გრძელება განქორწინების შემდეგაც.
- მეუღლეთა უფლება-მოვალეობები უცვლელი რჩება მიუხედავად მათი თანაცხოვრებისა.
- მრავალი ქვეყნის კანონმდებლობამ, სამოქალაქო პარტნიორობის ინსტიტუტის დამკვიდრებით, ნება დართო ერთსქესანთა წყვილებს ესარგებლათ იგივე უფლებებითა და მოვალეობებით როგორც რეგისტრირებული ქორწინებისას ისარგებლებდნენ. მაშასადამე, სამოქალაქო პარტნიორობა გარკვეულწილად გაუთანაბრდა ქორწინებას.
- არც ჯვრისწერა და არც ნიშნობა არ წამოშობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ქორწინებისთვის დამახასიათებელ სამართლევრივ სტატუსსა და შედეგებს, მიუხედავად იმისა სახეზე არის თუ არა თანაცხოვრება.
- 1920 წლამდე ქორწინების რეგისტრაციას მხოლოდ ეკლესია ახდენდა.
- ჯვრისწერის გაუქმება რეგისტრირებული ქორწინებისან განსხვავებით არ ხდება მხოლოდ მეუღლეთა თანხმობის შემთხვევაში.

- ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ მიანიჭა თურქეთში შესრულებულ რელიგიურ ქორწინებას, რეგისტრირებული ქორწინების სტატუსი.
- არარეგისტრირებული ქორწინებისას წყვილთა ურთიერთობას უნდა ახასიათებდეს ისეთი ელემენტები როგორიცაა, ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, ერთმანეთისადმი ზრუნვა, ქონების ერთობლივი შემოსავლით შეძენა და სხვა ისეთი მოქმედებების განხორციელება რომელიც ოჯახის შექმნასთანაა კავშირში, მაშასადამე..
- არარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში სახეზე გვაქვს ის ფაქტობრივი ურთიერთობები რაც რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში გვექნებოდა.
- არარეგისტრირებული ქორწინება, ისევე როგორც რეგისტრირებული ქორწინება წარმოადგენს პირთა ნებაყოფლობით კავშირს.
- თანაცხოვრებიას სამართლებრივი შედეგების წარმოქმნის თვალსაზრისით ქვეყნები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა, ესენია:
  I. ქვეყნები სადაც თანაცხოვრება რეგულირებულია საკანონმდებლო დონეზე და ის წარმოქმნის სამართლებრივ შედეებს
  II. ქვეყნები სადაც თანაცხოვრება არ არის საკანონმდებლო დონეზე რეგულირებული, თუმცა მაინც წარმოქმნის სამართლებრივ შედეგებს.
  III. ქვეყნები სადაც თანაცხოვრება არ წარმოქმნის სამართლებრივ შედეგებს.
- როგორც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ისე საქართველოს სასამართლო აღიარებს ოჯახის არსებობის შესაძლებლობას თანაცხოვრებისას.
- საქართველოს სასამართლო არ ანიჭებს თანაცხოვრების შემთხვევაში წყვილს ქონებრივ უფლებებს.

2. დასკვნა

-იქიდან გამომდინარე რომ, ოჯახის ცნება ყოველთვის ქორწინებაზე არ იყო დაკავშირებული და რადგან ქორწინების ინსტიტუტი და მისი ცნება საზოგადოების მსოფლხედველობასთან, აღქმასთან და ზნეობრივ ნორმებთან პირდაპირ კავშირშია. ასევე, რადგან, ქორწინება საუკუნეების განმავლობაში საფუძვლად ედო ოჯახის ცნების განმარტებას. მნიშვნელოვანი მგონია ქორწინების ცნების ახლებული ფორმულირება. ქორწინების ტრადიციული მიდგომა აშკარა ცვლილებას განიცდის, გამომდინარე იქიდან, რომ მთელი მსოფლიოს მაშტაბით იმატა არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვმა. ამას ისიც ემატება რომ, თუ აქამდე ქორწინება წარმოადგენდა მხოლოდ საპირისპირო სქესის წარმომადგენლების ნებაყოფლობით კავშირს, დღეს მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ნებადართულია ერთსქესიანთა ქორწინება. აღნიშნული, რა თქმა უნდა წინააღმდეგობაში მოდის ქორწინების ტრადიციულ განმარტებასთან და ერთის მხრივ საფრთხის ქვეშ აყენებს მას. იმის გათვალისწინებით რომ, ტერმინი „არარეგისტრირებული ქორწინება“ გვხვდება სხვადასხვა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, მიმაჩნია რომ ზემოთ მოყვანილ მიზეზთა გამო ქორწინების სოციალური აღქმის უნივერსალური, სწორი ფორმულირება იქნება:

„ორი პირის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით.“

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, ცალსახად ჩანს სასამართლოს პოზიცია არარეგისტრირებულ ქორწინებებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა რომ, ასეთის შემთხვევაში დგინდება ოჯახური კავშირის არსებობა, როგორც საქართველოს ისე ევროპული სასამართლო განასხვავებს რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებებს მისი სამართლებრივი სტატუსისა და

სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშნული მიდგომა გამართლებულია კონვენციის 12-ე მუხლით, რომელიც სახელმწიფოებს უფლებას აძლევს ქორწინება დაარეგულირონ ნაციონალურ იდენტობაზე, წეს-ჩვეულებებსა და სხვა ეროვნულ მახასიათებლებზე დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე ქორწინების უნივერალური ცნება სამართლებრივი აღქმიდან გამომდინარე იქნება:

„ორი პირის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც რეგისტრირებულია ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად."

ცნების მიზნებიდან გამომდინარე, სიტყვები „ქვეყნის კანონმდებლობა" არ უნდა იქნეს აღქმული როგორც, ერთი კონკრეტული ქვეყანა, არამედ სახელმწიფო ტერიტორია ქორწინების რეგისტრაციის ადგილმდებარეობის მიხედვით.

-ჯვრისწერა საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა რეგისტრირებული ქორწინების ფორმას საქართველოში, რაც გასულ საუკუნეში შეიცვალა. იქიდან გამომდინარე, რომ ჯვრის დაწერისას მეუღლეები გამოთქვამენ ნებას შევიდნენ საოჯახო ურთიერთობებში ერთმანეთთან. ასევე ჯვრისწერის შემთხვევაში არ ხდება მეუღლეთა ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების კანონმდებლობით უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა რომ, გამოხატულია ნება შეიქმნას ოჯახი. მაშასადამე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჯვრისწერის დაკანონება და იგივე სამართლებრივი სტატუსის მინიჭება რაც რეგისტრირებულ ქორწინებას გააჩნია. აღნიშნული შესაძლებელია გარკვეულ პრობლემებთან ასოცირდებოდეს, რადგან რელიგიური ქორწინების დაკანონება შესაძლოა გულისხმებდეს მის მთელი შემადგენელი ნაწილებით აღიარებას, რაც ჯვრისწერის შემთხვევაში გულისხმობს ქორწინების შეწყვეტის მეტად რთულ რეგულაციებს. ამ თვალსაზრისით მართალია ქორწინება ნებაყოფლობით იქნება შესაძლებელი, თუმცა განქორწინება ანალოგიური ნების

გამოვლინებით ვერ მოხდება. მიუხედავად ამისა, თუ არ იქნება დათქმა, რომელიც სავალდებულოს გახდის ქორწინების იმ ორგანოს მიერ გაუქმებას რომლის მიერაც ის იყო რეგისტრირებული, ჯვრისწერის გაუქმების სირთულე, პრაქტიკული თვალსაზრისით, არ აისახება განქორწინებაზე.

-სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, მივდივართ დასკვნამდე რომ ოჯახი აღარ გულისხმობს მხოლოდ ქორწინებისა თუ ნათესაობის საფუძველზე წარმოქმნილ პირთა წრეს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას რომ, თანაცხოვრების შემთხვევაში, წყვილთა ურთიერთბები რომლებიც საერთო საოჯახო საქმიანობას ეწევიან გაიგივებულია რეგისტრირებულ ქორწინებასთან. ხდება გარკვეული ურთიერთობების გაიგივებაც, მაგალითად მშობლის მოვალეობები შვილების მიმართ, თუმცა ამ ურთიერთობისთვის მნიშვნელობა არ აქვს ბავშვი რეგისტრირებულ ქორწინებაშია დაბადებული თუ არა. აღსანიშნავია რომ, იმ პირობებშიც კი, როდესაც დგინდება ოჯახური ურთიერთობების არსებობა, დაოჯახებული პირების გაიგივება არ ხდება ქორწინებაში მყოფ პირებთან, მაშასადამე, მათი ქონებრივი ურთიერთობები და სამართლებრივი სტატუსი არ ექცევა კანონმდებლობის ქვეშ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა განისაზღვროს სამოქალაქო კოდექსში ოჯახს მიკუთვნებულ პირთა ჩამონათვალი, ნორმატიული აქტის მიზნებიდან გამომდინარე.

-როგორც უკვე აღვნიშნე თანაცხოვრება არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგებს. თუმცა არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვის ზრდამ, რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში, უკვე განაპირობა თანაცხოვრების კანონმდებლობაში ასახვა. მიმაჩნია რომ, თუ აღნიშნული გაგრძელდა, საჭირო გახდება გარკვეული რეგულაციების შემუშავება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, თანაცხოვრებისთვის გარკვეული სამართლებრივი სტატუსის მინიჭება, რომელიც შესაძლოა განისაზღვროს პირთა გარკვეული დროის მანძილზე ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრებით, ერთმანეთისადმი ზრუნვით, საერთო საოჯახო მეურნეობის

გაძღოლით, ქონების ერთობლივად განკარგვით და სხვა ისეთ მოქმედებათა განხორციელებით, რომლებიც დამახასიათებელია საოჯახო ურთიერთობებისთვის. ასეთი ხასიათის დათქმა, არა მხოლოდ წყვილთა ქონებრივ ურთიერთობებს დაარეგულირებს არარეგისტრირებული ქორწინებისას, არამედ სხვა სახის საოჯახო ურთიერთობებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება. ქართული სამართლის მიმოხილვა. N 1. 2007 წ.
2. თუმანიშვილი გ., ცნების „ქორწინება," როგორც იურიდიული ტერმინის განმარტების არსობრივი და სამართლებრივი ასპექტი. ჟურნალი „სამართალი." 2002 წელი.
3. თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი. ჟყრნალი „სამართალი." 2003 წელი.
4. თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი. მონოგრაფია. თბილისი: 2010 წელი.
5. კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საკითხები. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი. 2011 წელი. N2(29)
6. კორკელია კ. ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. სტატიათა კრებული. თბილისი: 2014.
7. კუსიანი ე., საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? სტატია. 2012.
8. მეტრეველი ვ., რომის სამართალი: საფუძვლები. თბილისი: მერიდიანი, 2009 წელი.
9. მოწონელიზე ნ., სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება. დისერტაცია. თბილისი. 2015 წელი.
10. საუკლესიო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. http://www.orthodoxy.ge/tsnobarebi/leksikoni_ganmart/kani.htm
11. სუროჟელი ა. მიტროპოლიტი. სიყვარულის საიდუმლო. საუბარი ქრისტიანულ ქორწინებაზე https://teodore.ge/wwig/anton-surojeli-siyvarulis-saidumlo-saubari-qristianul?lg=qar (24.06.2019)
12. ქავთარაზე ს., მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის პრობლემა უძრავ ნივთებთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არ არებობის პირობებში. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. 2012 წ.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი. ტომი 7. 1984 წელი.
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი. ტომი 10. 1986 წელი.
15. შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: სამართალი. 2000 წელი, წიგნი V.
16. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახი სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: მერიდიანი, 2011 წ.

17. ჩიკვაიძე დ., ჯვრისწერის იურიდიული აღიარების პრობლემები. http://www.orthodoxy.ge/samartali/jvristsera.htm
18. ჭიღლიაშვილი ლ., ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით. დისერტაცია. 2016 წელი.
19. ხვედელიანი დ., საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში. სამართლის ჟურნალი. N1. 2009 წელი.
20. ხუბუა გ., სამართლის თეორია. თბილისი: მერიდიანი. 2004 წელი.
21. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1928. წიგნი I.
22. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1929. წიგნი II.
23. Bedner A., Huis V. S., Plurality of marriage law and marriage registration for Muslims in Indonesia: a plea for pragmatism. Utrecht Law Review. Vol.6. Issue 2. 2010.
24. Bogucki P., Enciclopedia of Society and Culture in the Ancient World. USA: Infobase Publishing. Vol. 1. 2008.
25. Caballero S. S., Unmarried Cohabiting Couples Before the European Court of Human Rights: Parity with Marriage? The Columbia Journal of European Law. Vol. 11, N.1. 2004/2005.
26. D'Emilio J., Freedman B. E., Intimate Matters. A History of Sexuality in America. New York: Harper & Row, 2nd. Ed. 1997.
27. Lefkowitz M. R., Fant M. B., Woman's Life in Greece and Rome. US: 2nd Ed. 1992.
28. Mitchell L. G., The Woman of Ruling Families in Archaic and Classical Greece. J. Classical Quarterly. Vol. 62, Issue 1. 2012.
29. Morris Jarrett M. M., Under Household Government. Sex and Family in Puratan Massachusetts. Cambridge, Massachusetts. 2013.
30. Orsy S.J. L., Marriage in Canon Law. Texts and Comments. Reflections and Questions. Delaware: Muchael Glazier Inc., 1988.
31. Petrosillo P., The Dictionary of Christianity. Tbilisi, 2011. თარგმანი სააკაშვილი მ.
32. Yalom M., A History of the Wife. HarperCollins e-books. 2001.
33. Westermarck E., The History of Human Marriage, Harvard University, 1891.

საკანონმდებლო აქტები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.
2. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია.
3. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმება.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
7. საქართველოს კანონი, საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ.
8. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ.
9. საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ.
10. საქართველოს იუსტიციის მინისტრის N18-ე ბრზანება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ.
11. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის ბრძანება, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. ქალაქ თბილისის სამოქალაქო სასამართოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. N 2/5232-19. 06/05/2019
2. ქალაქ თბილისის სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. N 2/6172-19. 06/06/2019

3. ქალაქ თბილისის სამოქალაქო საქმეთა პალატა. ას-681-637-2010. 25/01/2011
4. ქალაქ თბილისის სამოქალაქო საქმეთა პალატა. ას-749-717-2016. 12/10/2016
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება N3კ/932002. 09/12/2002.
6. European Court of Human Rights - Marckx v. Belgium. N 6833/74. 13/06/1979.
7. European Court of Human Rights – Rees v. The United Kingdom. N 9532/81. 17/10/1986.
8. European Court of Human Rights – Jonson and Others v. Ireland. N 9697.82. 18/12/1986.
9. European Court of Human Rights – Cossey v. The United Kingdom N 10843/84. 27/09/1990.
10. European Court of Human Rights – Kron and Others v. Netherlands. N 18535/91. 27/10/1994.
11. European Court of Human Rights – X, Y, et Z v. The United Kingdom. N 21830/93. 22/04/1997.
12. European Court of Human Rights – Inzie v. Austria. N 8695/79. 28/10/1997.
13. European Court of Human Rights – Sheffield and Horsham v. The United Kingdom. N 10843/84. 30/07/1998.
14. European Court of Human Rights - Nylund v. Finland. N 27110/95. 29/06/1999.
15. European Court of Human Rights – Christine Goodwin v. The United Kingdom. N 28957/95. 11/07/2002.
16. European Court of Human Rights - P.M v. The United Kingdom. N 6648/03. 19/07/2005.

17. European Court of Human Rights - R. and F. v. The United Kingdom. N 35748/05. 28.11.2006.
18. European Court of Human Rights – Serife Yigit v. Turkey. N 3976/06. 02/11/2010.

ელექტრონული წყარო

1. http://socium.ge/downloads/socshesavali/ojaxi.pdf (25/06/2019)
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.5&d=HASH015a50d7a9e5d332d1510b97.16 (24/06/2019)
3. https://family.lovetoknow.com/about-family-values/types-family-structures (24.06.2019)
4. https://www.census.gov/content/dam/Census/newsroom/facts-for-features/2017/cb17-ff16.pdf (19/03/2019)
5. https://www.pewsocialtrends.org/2014/09/24/record-share-of-americans-have-never-married/ (19.03.2019)
6. http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__Demography__Marriages/39_-_Crude_marriage_rate.px/table/tableViewLayout2/?rxid=d486e7af-3dbe-4dad-8882-9dd21b08add1 (14.06.2019)
7. http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__Demography__Divorces/46_-_Crude_divorce_rate.px/table/tableViewLayout2/?rxid=66e61ebf-5413-4cca-8d4c-188dc0f1ab60 (14.06.2019)
8. http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__Demography__Divorces/46_-_Crude_divorce_rate.px/table/tableViewLayout2/?rxid=66e61ebf-5413-4cca-8d4c-188dc0f1ab60 (14.06.2019)